საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

პარასკევი 3 სექტემბერი 1920 წ.

ერთობა

ფასი 10 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 250 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 10 მანეთი განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 მანეთი. მეოთხე გვერდზე 10 მანეთი სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15 × 2) 300 მანეთი [illegible] განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან. ტელეფონი 16—62.

№ 200 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 200

საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული. შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79

ღრმად დამწუხრებული ისაკი გიორგაძე მეუღლით და შვილებით აუწყებს ნათესავთ და მეგობრებს მათთვის ძვირფას და დაუვიწყარ

ასლან ყარამანის ძე აყანელიძის

უდროოდ გარდაცვალებას. (794 1—1)

ღრმად დამწუხრებული მშობლები სოფიო და კონსტანტინე, ძმები: ვახტანგი და ზურაბი, მამიდები: ოლია და ნინა ფარცხალაძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ თავიანთ ძვირფასი და დაუვიწყარ

ირაკლი (კუკუშკა) კონსტანტინეს ძე ფარცხალაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება კვირას, 5 სექტემბერს 1920 წ. წმ. ნინოს სასაფლაოზე. გამოსვენება 10 საათზე, არკადის ტუპიკი № 1 საკ. სახლი (2857 2—1)

ღრმათ დამწუხრებულნი მშობლები: ანეტა და კირილე ქუჩულორია შვილებით: ელიჩკა, ნინა, მიშა, ნატაშა და ბიძაშვილი მარიამი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს 4 სექტემბერს დიდუბის ეკლესიაში 10 საათზე გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა მათთვის დაუვიწყარი და საყვარელი

თამარა ქუჩულორიას

ასულის სულის მოსახსენებლათ. (2862 1—1)

ღრმად დამწუხრებული ივანე რომანოზის ძე ჯაფარიძე აუწყებს ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ 31 აგვისტოს ქ. ქუთაისში ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მისი უძვირფასესი მეუღლე

ელენე (გალია) დავითის ლორიას ასული ჯაფარიძისა

მიცვალებულის დაკრძალვა მოხდება 4 სექტემბერს, დღით შაბათს, საღამოს $4^1/_2$ საათზე საფიჩხიის სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე, ბალახვანის ქ. საკუთარ სახლში (2863—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: ფოტინე, ვარდენ ქიქინაძის ასული ლორიასი და დავით ნიკოლოზის ძე ლორია შვილებით: ქენია, თამარ, ვასილი და მიშა. სიძეებით: ანდრია კიკნაძე და ალექსანდრე მგალობლიშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 31 აგვისტოს ქ. ქუთაისში გარდაიცვალა მათი ძვირფასი

ელენე (გალია) დავითის ასული ჯაფარიძისა

მიცვალებულის გამოსვენება მოხდება 4 სექტემბერს, დღით შაბათს, საღამოს $4^1/_2$ საათზე ბალახვანის ქუჩიდან (ჯაფარიძის სახლი) საფიჩხიის სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველდღე საღ. 7 ს. (2863—1—1)

---

31 აგვისტოს ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ ქ. ქუთაისში გარდაიცვალა

ელენე (გალია) დავითის ასული ჯაფარიძისა

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ: ბაბუა ბესარიონ დავითის ძე ხამაშურიძე, დედამთილი ოლღა ბესარიონის ასული ჯაფარიძისა და მამამთილი რომან ივანეს ძე ჯაფარიძე შვილებით, რძლით და სიძეებით. გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება 4 ამა სექტემბერს, დღით შაბათს, საღამოს $4^1/_2$ საათზე ბალახვანის ქუჩიდან (საკუთარი სახლი) საფიჩხიის სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველდღე, საღამოს 7 საათზე. (9863)—1—1)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე მინა ინწკირველის ასული შვილები მიხაკო, გიორგი, პოლიკარპე რძლები: მინა და აგრაფინა, შვილიშვილები: პეტრე და რია დოლიძეები შოთა და შუშანა ვასაძეები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს რომ შაბათს, 4 ენკენისთვეს იქნება გადახდილი ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ს. ამაღლებაში (გურია),

ფილიპე ოქროპირის ძე დოლიძის

(2866—1—1)

დამფუძნებელნი დასავ. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო ბანკისა

ქ. ქუთაისში

ამით აცხადებენ, რომ ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ ამა წლის 15 ივლისს

ხსენებული ბანკის წესდება დაამტკიცა.

ძირითადი თანხა ბანკისა პირველ ხანათ არის განსაზღვრული ოცი მილიონი მანეთით (20,000,000 მ.). თითო აქცია ღირს ათასი მანეთი (1000 მ.). ოცი აქცია იძლევა ერთი ხმის უფლებას.

ხელის მოწერის დროს უნდა იქნეს შემოტანილი აქციის ღირებულების ნახევარი და საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავათ ერთდროულათ ორმოცდაათი მანეთი (50 მან.) თითო აქციაზე.

ხელის მოწერა მიიღება 4 სექტემბრამდე შემდეგ ბანკებში.

ქუთაისში: სამეურნეო სამრეწველო და საურთიერთო ნდობის საზოგადოებებში.

თფილისში: ცენტრალურ ბანკში, ამიერ-კავკასიის ბანკში და სამეურნეო ნდობის საზოგადოებაში.

ბათომში: საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში.

ფოთში: ქართულ სავაჭრო ბანკში.

ჭიათურაში, ზესტაფონში, სამტრედიაში, ოზურგეთში, ლანჩხუთში, სენაკში, ზუგდიდში და ხონში ადგილობრივ საურთიერთო ნდობის საზოგადოებებში.

(ნ. 4—4)

ამა წლის 10 ენკენისთვეს მიწად-მოქმედების სამინისტროს სახელმწიფო მამულთა განყოფილებაში (თფილისი მთავრობის სახლი, ყოფილი კადეტთა კორპუსი) დილის 12 საათზე

საჯარო ვაჭრობით გაიყიდება

სახელმწიფო მამულების მიმდინარე წლის მოსავლის

ჭაჭა

განმეორებით ვაჭრობა მოხდება 12 ენკენისთვეს ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე სახელმწიფო მამულთა განყოფილებაში და ადგილობრივ მამულებშიც.

ვაჭრობა დაიწყება ფუთი 150 მანეთიდან.

მსურველთ შეუძლია წარმოადგინოს დახურული პაკეტიც

სახელმწიფო მამულთა განყოფილება. (2850 2—1)

რაჭაში საჭიროა უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლებში გამგეები და მასწავლებლები

საჭიროა აგრეთვე

ექიმები და ვეტერინარები

ჯამაგირები შეთანხმებით, განცხადებები უნდა გამოიგზავნოს ქ. ონში ერობის გამგეობის სახელზე. (2849 3—1)

ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობა

იწვევს საგნების და ენების სრულ უფლებიან მასწავლებლებს ჩოხატაურის საერობო გიმნაზიისთვის, აგრეთვე იწვევს გამგეებს და მასწავლებლებს მაზრის საერობო უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელთათვის. მასწავლებლები მიიღებენ (გიმნაზიაში გარდა შტატის ჯამაგირისა, ბინას და გათბობა განათებას. თხოვნები, საბუთები უნდა გადმოგზავნონ ოზურგეთში, სამაზრო ერობის გამგეობაში. (ნ. 5—5)

ქუთაისში დაბრუნდა ექიმი

მ. ი. ვოლოხი

და განაახლა მიღება ქალ. შინაგ. და ვენერ. ავათმყოფებისა. მიღება დილის 10—12 საათ. და საღ. 4—7-დის, ფრანგების მოედანი № 33. (2614—თ.)

კიდევ სომხეთზე

ამას წინეთ აღვნიშნეთ საჭიროება სომხეთ საქართველოს დაახლოვების და ამ მიზნით სადაო საკითხების აუცილებლად მოკლე ხანში გადაჭრის. ჩვენ ისიც აღვნიშნეთ, რომ ეს კითხვები თავის სიმწვავეს კარგავენ იმ ახალ გარემოების გამო, რომელიც ოსმალეთის სომხეთის შექმნას აღიარებს.

და აქ არც გასაკვირველია რამე. სომხეთს დღემდე არ ჰქონდა გასავალი ზღვასთან, ცხადია ჩვენს ტერიტორიაზე უნდა მოეპოვა ეს ამა თუ იმ გზით. და იგი ბათომს უწევდა ხელს. მას ესაჭიროებოდა თავისუფალი ადგილი, და იგი ყოველ მოსაზღვრე მაზრას სადავოთ აცხადებდა; ძველ მუდმივ საქართველოს ნაწილებს სტრატეგიულათ, გეოგრაფიულად, ისტორიულად და ეკონომიურად და მრავალ სხვა მიზეზებით საქართველოსგან განუყრელს, თავისათ იჩემებდა, მის კოლონიზაციას ცდილობდა.

ჩვენ გვესმოდა ასეთი ლტოლვა სომხეთის, და ანგარიშს ვუწევდით მათ უსაფუძვლო დავასაც.

ერთი საბუთი ჰქონდა ამ ანგარიშის გაწევას—ეს ის, რომ ოსმალეთის მხრივ შევიწროვებულ სომხეთს სხვა გასაქანი არ ჰქონდა, საქართველოს მიწა-წყალს უნდა მოსწოლოდა. დღეს ეს გარემოება რამდენიმეთ მაინც შეიცვალა. ანტანტამ იცნო სომხეთის ინტერესები და საზავო ხელშეკრულებით მიანიჭა მას საკმაოთ ფართო ტერიტორია, რომელსაც თავის ზღვის კიდეც ექნება მსოფლიოსთან უშუალოთ კავშირის დასაჭერათ. აი ამ გარემოებამ გაგვაბედვინა გვეფიქრა, რომ წინანდელი ტენდენცია საქართველოს ტერიტორიისკენ მისწრაფება რამოდენიმეთ მაინც შენელდებოდა და ჩვენ გვგონია, დღეს უნდა შენელებულიყოს, როგორც ყველა და პასუხისმგებელ წრეებში, ისე თვით ხალხში.

მაგრამ ასე არ ფიქრობს სომხეთის ბოროტი სული, თფილისის დაშნაკელთა ორგანო „ნორაშხატავორი“. ამ გაზეთის ხელმძღვანელ წრეების უმთავრესი დანიშნულება—ერთა წასისინებაა საქართველოსთვის, ყოველი მეგობრული კავშირის შესაძლებლობის გაქრობაა, მის გარშემო მტრული ატმოსფერის შექმნაა.

ჩვენ მეგობრულ სიტყვებზეც, რომელიც ობიექტიურ პირობებზე იყო დამყარებული, იგი გაანჩხლებულ დედაკაცივით გაიძახის: „ჩვენ ვიცით, თუ როგორ მარჯვე ჯამბაზობაში მენშევიკური მთავრობა“ და შემდეგ ჩამოთვლილია რამდენიც გინდა ბრალდება. ცოდვათ გვეთვლება ადერბეიჯანთან ზავი, ბალშევიკებთან ზავიც და სხ.

ერთი სიტყვით ტკბილ სიტყვაზე შემოკურთხებით გვაძლევს პასუხს.

მერე იცით რისთვის?

მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ სომხის ხალხში ვიგულისხმეთ ერთი კარგი თვისება. ჩვენ ვთქვით:

„სომხეთს დღეს ტერიტორია საკმაოზე არა ნაკლები აქვს მიკუთვნებული, და მან უნდა მეზობლებსაც მისცეს საშუალება არსებობის და ხელფეხის განძრევის“.

ამით ჩვენ გამოვხატეთ ის აზრი, რომ რაკი თვითონ არ უჭირს, არც სხვებს გაუჭირვებს მეთქი. როგორც ხედავთ სრულიად ბუნებრივი და ნორმალური თვისებაა ყოველი ერის და მით უმეტეს დემოკრატიის.

„ნორ აშხატავორი“ გაბრაზებულა, როგორ თუ ასეთი თვისებები მივაწერეთ სომხის ხალხს და შესაძლებლათ დავინახეთ მისგან ისეთი კეთილმეზობლური დაყენება საკითხის, რომელიც განამტკიცებს ამ ორ რესპუბლიკათა მეგობრობას. და ამის გულისთვის ასკვნის: „ჯამბაზი მთავრობა, მოღალატე მენშევიკები“ და სხვ. და განაგრძობს:

„ვერ გაგვიგია, რისთვის არ შეუძლიათ ჩვენ სოციალ-შოვინისტებს საქართველოს საზღვრებში დატევონ და უნდათ უეჭველათ ხელფეხი გაიხსნან“.

მაშასადამე „ნორ აშხატავორის“ ბრძნულ დასკვნით საქართველოს ხელფეხი არ უნდა გაეხსნას. სადაო საზღვრები სომხეთსვე უნდა გადაეცეს და ამით საქართველო რაც შეიძლება შეზღუდულ იქნეს. ჩვენ თურმე საზღვრების გამოსწორების მოთხოვნით ისეთ დათმობებს თურმე მოვითხოვთ, რომლებიც „მომავალში სახიფათოს გახდიან ჩვენი სახელმწიფოს მთლიანობას და რომელიც არ შეუძლია მოგვცეს ჩვენმა მეზობელმა“. („ნორ აშხ.“ № 117) აქედან დასკვნა აშკარაა. „ნორ აშხატავორი“ დიდი მოხარულია, მოლაპარაკების შეთანხმების, მაგრამ მხოლოდ ერთის პირობით, თუ საქართველო თავის ნაწილებს სომხეთს დაუთმობს, და ყველა მათ პრეტენზიებს დააკმაყოფილებს. რომ ესეც არ მოხდეს, იგი წინასწარ ისეთი სიტყვებით ამკობს საქართველოს მთავრობას, რომლის შემდეგ მეზობელს მასთან მოლაპარაკების სურვილიც დაეკარგოს.

მართლაც, შეიძლება „პოლიტიკურ ჯამბაზთან“ მოლაპარაკება, შეიძლება მოლაპარაკება მუდამ მოღალატე მეზობელთან?

და „ნორ აშხატავორი“ კი სწორეთ ასეთ დახასიათებას იძლევა იმიტომ, რომ „ერთობამ“ შესაძლებლად დაინახა ამ ჟამათ საზღვრების საკითხის იოლად გადაჭრა.

ჩვენთვის ერთი ცხადია, თფილისელი „ნორ აშხატავორ“-ის ჯგუფი არის მთავარი ხელის შემშლელი სომეხ-ქართველთა შეთანხმების. მათ ძილს უფრთხობს ასეთი შეთანხმების შესაძლებლობა და ნაღველს ანთხევინებს.

მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ სომხეთის დემოკრატია ამ აგიტაციას არ აყვება და თავის ინტერესებს უფრო მაღლა დააყენებს ამ ერთ ჯგუფის ღვარძლიან პოლიტიკაზე. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება სომხეთ-საქართველოს შორის ყოველი დავის გადაჭრა და მეგობრული ურთიერთობის განმტკიცება.

თანამედროვე კითხვები

XVII.

მუშათა დელეგაციის გამო.

მუშათა დელეგაცია მიემგზავრება საბჭოთა რუსეთში. ძალიან დაგვიანებით უხდება ეს გამგზავრება. ამ ერთი თვის განმავლობაში, მას აქეთ რაც, მისი გაგზავნა საბოლოოთ გადაწყდა, ბალშევიკური მთავრობის მდგომარეობა საგრძნობლათ შეიცვალა. გაიზარდა და ჯერ კიდევ იზრდება მისი საწინააღმდეგო პოლონეთის და ვრანგელის ფრონტი. სამოქალაქო ომის საკითხი საბჭოთა რუსეთში დღეს ისევ უკან სწევს ყველა სხვა კითხვებს. მოსკოვი შედარებით უფრო იცლიდა ამ სხვა კითხვებისთვის იმ დროს, როდესაც იქ ინგლისის დელეგაცია იმყოფებოდა. ჩვენსას უფრო მეტი დაბრკოლება შეხვდება ახლა, ვიდრე ერთი თვის წინეთ შეხვდებოდა.

ბალშევიკები არ უწევენ ანგარიშს არავის და არაფერს, როცა სამხედრო აპარეზზე პირდაპირ საშიშროებას მოელიან. წინდაწინვე უნდა ვიცოდეთ, რომ ისინი ჩვენ დელეგაციას არ მისცემენ თავისუფალი გამოსვლების ნებას, არ გაუშლიან გზას ფართო მუშათა წრეებთან. დელეგაციამ უნდა გამოიჩინოს დიდი ნების სიმტკიცე, არ დაიხიოს არცერთი დაბრკოლების წინ, ყოველი შესაძლებელი საშუალებით ეცადოს რუსეთის მუშათა კლასთან დამაახლოვებელი ძაფების გაბმას, და მეგობრული კავშირის დაკავებას.

რუსეთის მუშები მიდიან თავისი გზით, საქართველოსი თავისით, მაგრამ ეს თავისებურება ხელს არ უნდა უშლიდეს მჭიდრო კავშირს. შეუძლებელი იქნებოდა ამისთანა კავშირი, რომ ყოველ ქვეყანას განსაკუთრებული გზა ევლო სოციალიზმისკენ. თავისებური სხვაა, განსაკუთრებული სხვა. განსაკუთრებული გზა —ეს იქნებოდა ნაციონალური სოციალიზმი, რომელმაც ფეხი მოიკიდა სხვადასხვა ქვეყნებში მსოფლიო ომის დროს. ეს იქნებოდა ის სოციალიზმი, რომელსაც შორეული ფესვები აქვს ძველ ნაროდნიკულ მსოფლმხედველობაში. ძველი ნაროდნიკები ამბობდენ ხოლმე, რომ რუსეთის სოციალისტური გზა პრინციპიალურათ განსხვავდება დანარჩენი ქვეყნების გზისგან. რუსეთ საქართველოს მარქსისტები ებრძოდენ ამ მსოფლმხედველობას, და ეს ბრძოლა, როგორც ვიცით, გათავდა მარქსისტების გამარჯვებით.

ნაციონალური სოციალიზმის ნიადაგზე დგას რუსეთის მთავრობა. ის სოციალისტურ აშენებლობას ეწევა ისეთი დიქტატურის საშუალებით, რომელიც უარჰყოფს დემოკრატიას. ჩვენ კი აღმშენებლობის ყველა დარგებში ვხელმძღვანელობთ დემოკრატიული პრინციპით. ეს პრინციპი სავალდებულოთ მიგვაჩნდა აქამდის საერთაშორისო მუშათა მოძრაობისთვის, ამ მოძრაობის მრავალფეროვნებაში, სხვა და სხვაობაში იყო და უნდა იქნეს ეს შემაერთებელი ძარღვი: უამისოთ შეუძლებელი იქნებოდა საერთაშორისო სოციალიზმი.

აქაური მუშათა დელეგაცია ვერ ეტყვის რუსეთის მუშებს,—თქვენი გზა არ ვარგა, ჩვენ გზაზე იარეთო. ამნაირი აგიტაცია არ შედის მის დანიშნულებაში. მისი საქმეა იქაურ მუშათა კლას გააგებინოს ყველაფერი ის, რასაც ჩვენ ვაკეთებდით აქ იმ ისტორიულ ხანაში, რომელიც იწყება საქართველოს დამოუკიდებლობით. ჩვენი დელეგაციის დანიშნულებაა ცნობების მიღება იქ, ცნობების მიწოდება აქედან. ეს იქნება ორმხრივი ინფორმაცია.

მაგრამ უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ ასე უბრალოთ,—ასე მარტივათ საქმე არც დაიწყება, არც გათავდება.

ობიექტიურათ საბჭოთა მთავრობა საქართველოს დემოკრატიაში უფრო დიდ მოწინააღმდეგეს ხედავს, ვიდრე სხვაგან. შეიარაღებული მტრები მის გარშემო ქმნიან თანაგრძნობის განწყობილებას. შინაური მოპირდაპირე პარტიები იძულებული არიან მხარი დაუჭირონ საბჭოთა მთავრობას ამ მტრების მოსაგერიებლათ. საქართველო არ ეკუთვნის ამათ ბანაკს, მაგრამ მისი გზა ძირიანათ ეწინააღმდეგება საბჭოთა მთავრობისას. ბალშევიკები უთუოთ შეებრძოლებიან ჩვენ დელეგაციას, უთუოთ გამოიწვევენ იდეური ბრძოლის ასპარეზზე, მოინდომებენ მუშათა კლასის წინაშე ჩვენი დემოკრატიის მიწასთან გასწორებას. ჩვენი დელეგაცია, რასაკვირველია, ვერ გაექცევა ამ ბრძოლას, მოუხდება გადასვლა იდეური თავდასხმისაკენ. ეს იქნება ბრძოლა ორი მეთოდის, ორი გზის, და თუ დელეგაციას თავისუფალი გზა ექნება რუსეთის მუშათა კლასთან, ეს უკანასკნელი მიიღებს ნათელ წარმოდგენას საქართველოს შესახებ, მიიღებს საკმაო მასალას, რომლითაც შესძლებს ორი პრინციპის შედარებას და დაფასებას.

ჩვენ დელეგაციას თავის მართლება არ დასჭირდება რუსეთის მმართველ პარტიასთან. თავის გასამართლებელი არ აქვს რა საქართველოს მუშათა კლასს. მისი საერთაშორისო მოვალეობაა, ასე ვთქვათ, ანგარიში მისცეს რუსეთის მუშათა კლასს, რომლისთვისაც დღევანდელი საქართველო გაუგებარი გამოცანაა. ის უთუოდ შეეკითხება ჩვენს წარმომადგენლებს,—რად ჩამოგვშორდა თქვენი მშრომელი ხალხი იმ საშინელ წლებში, როცა სისხლს ვაქცევდით რეაქციასთან ბრძოლაში. ეს მთავარი კითხვა მოსვენებას არ აძლევს რუსეთის მუშას და გლეხს. დელეგაციამ ამაზე უნდა მისცეს დამაკმაყოფილებელი პასუხი. უნდა გააგებინოს, რომ ჩვენ არ ჩამოვშორებივართ რუსეთს, რუსეთმა ჩამოგვიშორია ჩვენ, ეს გამოიწვია საბჭოთა მთავრობის პოლიტიკამ. ჩვენ დელეგაციას კარგად ახსოვს მაშინდელი დრო და შეუძლია გაფანტოს ამ კითხვის გარშემო მოხვეული ბურუსი.

რუსეთის მუშათა კლასი დარწმუნდება, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოწვეული იყო ჩვენთვის არა სასურველი ისტორიული აუცილებლობით. ამის ბეჭედი ემჩნეოდა მთელ ჩვენ საშინაო და საგარეო პოლიტიკას ახალ საქართველოში. მთავარი საქმე იყო თავდაცვა. ამ მიზანს ისახავდა ჩვენი დემოკრატია და ამის მიხედვით აწყობდა თავის დამოკიდებულებას გარეშე ძალებთან. საქართველო არ გამხდარა არც გერმანიის, არც ინგლის-საფრანგეთის ყურმოჭრილი მონა. იმპერიალისტებს ის არ გაუხდიათ თავისთვის გამოსადეგ იარაღად. ბალშევიკებს არ შეუძლიათ სთქვან, რომ მათი შეიარაღებული მტრები ფეხს იმაგრებდენ ჩვენ მიწა წყალზე. თავის საზღვრებს გარეშე საქართველო არავის ედავებოდა, არც არავის ემუქრებოდა, თავის საზღვრებში კი ის მზად იყო იარაღით შეხვედროდა ყოველივე ძალას მისი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მომართულს. ამნაირ პოლიტიკას უნდა მიეწეროს ის, რომ საქართველო არ გადაქცეულა ნანგრევებათ და მიდის წინ ყველა დარგებში.

აღარც მოხერხდება დღევანდელი საქართველოს რუსეთის სახელმწიფო სხეულში დაბრუნება. ამისთვის ან რუსეთმა უნდა შეიცვალოს თავისი ისტორიული გზა, ან საქართველომ. დამოუკიდებლობას ჩვენ ვიცავთ ახლა, როგორც აუცილებელ იარაღს ჩვენი წინმსვლელობისას. აქამდის გამოგვეცლებოდა ხელიდან ეს იარაღი, რომ მიუდგომლობა დაგვერღვია და მივმხრობოდით რუსეთის რომელიმე მებრძოლ ძალას. სამხედრო კავშირი, კერძოთ, ბალშევიკურ მთავრობასთან, ჩაგვითრევდა სამოქალაქო ომში თავიდან ბოლომდის და საქართველოც მაშინ გადაიქცეოდა სისხლის ღვრის ასპარეზათ. საბოლოოთ ეს იქნებოდა ჩვენივე ხელით ჩვენი დამოუკიდებლობის დანგრევა.

რუსეთის მუშათა კლასთან ჩვენ მივდივართ დღეს ცალკე სახელმწიფოდან. სახელმწიფოებრივი დაცალკევება ხელს ვერ შეუშლის სხვადასხვა ქვეყნების მშრომელი ხალხის გაერთიანებას თუ ის ყველგან ითვისებს ერთ მეთოდს სოციალიზმისთვის ბრძოლისას. ეს მეთოდი შეიძლება სხვადასხვანაირი სახით გამოვიდეს რუსეთში, საქართველოში, ინგლისში და სხვაგან, მაგრამ ის ერთი უნდა იყოს არსებითათ. ეს მეთოდია ხალხის თვითმოქმედება, თვითმართველობა. სოციალისტური აღმშენებლობა შეიძლება იქ, სადაც არის დემოკრატიული დიქტატურა, სადაც არის ისეთი მართვა-გამგეობა რომელსაც ნებაყოფლობით ცნობს ხალხის უმრავლესობა.

ჩვენ შევალთ მარტო იმ ინტერნაციონალში, რომელსაც ეს პრინციპი დაედება სარჩულათ, და იმედია იქ შევხვდებით ხოლმე მომავალში რუსეთის მუშათა კლასის წარმომადგენლებსაც.

ს. დევდარიანი.

საქართველო ინგლისურ*) სარკეში

(წერილი ლონდონიდან)

ინგლისური სარკე.

ჩვენდა სამწუხაროდ ასეთი გამოდგა ჩვენთვის ინგლისური სარკე. დაბზარულია და ლაქებით არის იგი სავსე,—ასე რომ, მიუდგომელმა ადამიანმა რომ მოისუროს საქართველოს სახის დანახვა, ნახავს დამახინჯებულ, სისხლში მოსვრილ, ველურ—ბალშევიკურ საქართველოს. პრესის მიხედვით, ამ ინგლისური სარკის მიხედვით, საქართველო მართლაც ასეთად მოსჩანს.

არ გვწყალობს ჩვენ კონსტანტინეპოლის „იხვი“, არ გვწყალობს ჩვენ ამიტომ არც ინგლისური პრესა, ეს ინგლისური სარკე, სადაც მთელი მსოფლიო მოსჩანს შიგ. და საქართველოს კი აქვს მიკუთვნებული გაბზარული, ლაქებით სავსე კუნჭული და საცოდავათ, ქორების ტალახში ამოსვრილ-ამოწუწპული საწყლათ გამოიყურება.

რა გავლენა აქვს ამ სარკეს? გვიკეთებს იგი საქმეს თუ გვამარჯვებს? გვეხმარება იგი, თუ სამარეში გვდებს?

ვფიქრობთ, რომ საკითხი მეტათ ნათელია და პასუხი კიდევ უფრო ცხადი.

იარაღით აღჭურვილ, თავიდან ფეხებამდე იარაღში ჩამსხდარ და ზარბაზან წამოკიდებულ მტერს იმდენი ზარალი და ვნება არ მიუყენებია საქართველოსთვის, რამდენიც მოგვაყენა კონსტანტინეპოლში მომუშავე პატარა კალმებმა.

ჩვენმა მკითხველმა კარგათ იცის, თუ პრესას საერთოდ რა მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ჩვენ ვსთხოვთ ჩვენს მკითხველს: ეს ცოდნა გაამრავლოს ასჯერ და მიიღებს შედეგს, რომელსაც დიდი გავლენა აქვს განსაკუთრებით ინგლისში. პრესა ერთი დიდ სახელმწიფოთაგანიაო, ამბობენ, და მართალია. პრესას ხელში უჭირავს მთელი პოლიტიკა ანუ პოლიტიკას უჭირავს ხელში მთელი პრესა. ნორდკლიფის პრესა ესაა პოლიტიკა დიდი ბრიტანეთის მთავრობის და ამ მთავრობის პოლიტიკა არის ნორდკლიფის პრესის აზრი. პრესის სცენის უკან სდგანან დირიჟორები, რომელნიც თავისი ჯადოქარი ჯოხით აწარმოებენ მთელ პოლიტიკას და მიმართავენ მის საქმეს.

რასაკვირველია, მეტათ ცხადია, რომ ინგლისურმა პრესამ, ინგლისურმა სარკემ, რომელმაც ასე უხეშათ და მახინჯათ დაახასიათა და განაგრძობს საქართველოს ამნაირათ დახასიათებას,—დიდი აურიცხველი ზიანი მოუტანა საქართველოს. მაგრამ სჯობს ავალაპარაკოთ ფაქტები. ფაქტები უფრო მჭერმეტყველურია და განსჯას არ მოითხოვს.

სარკიდან ანარეკლი სხივები.

ვინ იტყვის, რომ საქართველო დალხინებულია?! ვინ იტყვის, რომ საქართველო გაჭირვებული არ არის და არ სჭირდება მეგობრული დამხმარე ხელი? სამწუხაროთ: ეს ფაქტია. და რომ ეს ფაქტია და მის გამოსწორებას, გაუმჯობესებას ვფიქრობთ და ვილტვით მისკენ, —ფაქტებიდანვე სჩანს.

საქართველოს მთავრობას არა ერთხელ გადაუდგამს პრაქტიკული ნაბიჯი ევროპასთან კავშირის შეკავრელათ და ეკონომიურ ურთიერთობის დასამყარებლათ. მაგრამ პრაქტიკულათვე ამას მცირე შედეგი მოსდევდა და ამაში არავინ არ არის დამნაშავე გარდა იმ საერთაშორი-

---

*) იხ. „ერთ.“ № 199.

დღეს

ბელოსტოკის რაიონში პოლონელთა შეტევა წარმატებით ვითარდება.

ბოლშევიკების ცნობით ლვოვის რაიონში ლვოვ-ბროდის რკინის გზის ჩრდილოეთით საბჭოთა ჯარმა რამდენიმეთ უკან დაიხია.

ლიონის ცნობით პოლონელებმა ტყვეთ წაიყვანეს 100 ათასი წითელი არმიელი, მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვიც ბევრია. პრუსიის საზღვარზე 70 ათასი კაცი გადავიდა.

ვარშავიდან მიღებული ცნობით ბოლშევიკები დათანხმებულან პოლონეთის საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას.

გერმანიის სხვა და სხვა ქალაქებში საფრანგეთის წინააღმდეგ მიმართული დემონსტრაციები გრძელდება.

რისო მდგომარეობისა, რომელშიც საქართველო არის ჩავარდნილი.

საქართველოს მთავრობამ მეტიც ჰქნა: პირდაპირ ევროპაში გამოისტუმრა ექსტრაორდინალური ეკონომიური მისია ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის კ. პ. კანდელაკის თავმჯდომარეობით.

პლატონიური მუსაიფი, მეგობრული ლაპარაკი სუფრის ირგვლივ არ არის ცუდი, მაგრამ საქმე რომ საქმეს დაეჯახა და აუცილებელი გახდება რაიმე რეალური ნაბიჯის გადადგმა—აქ გამოჩნდება მთელი სინამდვილე ვითარებისა და შექმნილ მდგომარეობისა. თითქმის 5 თვე არის ეს ეკონომიური მისია მუშაობს ევროპაში, 2 თვეზე მეტი იმუშავა მან ლონდონში.

გულწრფელად უნდა ვსთქვა, რომ კ. პ. კანდელაკი დაუღალავათ, ენერგიულათ მუშაობდა და აწარმოებდა საქმეს, მაგრამ...

ერთი, მეორე, მესამე, მეოთხე უდიდესი ფირმა და ძლიერი სინდიკატი. მისია მოლაპარაკებას აწარმოებს ეკონომიური კითხვების შესახებ. მოლაპარაკება კარგად მიმდინარეობს, ერთი მეორეს პატივსცემით ეპყრობიან, ურიგდებიან, ხელშეკრულება თითქმის მზათ არის და აი, აქედან იწყება აღნიშნული სარკის გავლენა და ჩნდება ის ანარეკლი სხივები, რომელსაც ეს სარკე გამუდმებით ისვრის „ყველაფერი კარგი, მშვენიერია, თქვენი პირობები სავსებით მისაღებია, ჩვენ საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ როგორია თქვენი ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა"? კითხულობს ინგლისელი და თვითონ რომელიმე ფირმის წარმომადგენელი მოგიყვებათ იმ. ცნობებს, რომელიც მას წაუკითხავს გაზეთში და აშკარათ ატყობთ, რომ ამ კაპიტალისტს ეშინია, ეშინია და რისკზე ვერ მიდის იმ ქვეყანაში, სადაც დღეს თუ ხვალ ბოლშევიზმი იფეთქებს, ქვეყანა გადატრიალდება და იგიც, რასაკვირველია, თავის კაპიტალს დაკარგავს. ამ შიშის მოტივი, ეს კაპიტალისტური წინდახედულობა ყველგან და ყოველთვის სჩანდა იმ მოლაპარაკებაში, რომელსაც კ. პ. კანდელაკი შეხვედრია. ინგლისელმა კაპიტალისტმა გაზეთებით იცის საქართველოს ამბები, უჯერის ამ ცნობებს, და კიდეც რომ არ დაუჯეროს და წავიდეს ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში და შეეკითხოს იქ საქართველოს მდგომარეობის შესახებ,—იქიდანაც კი თითქმის ისეთსავე ცნობას მიიღებს, როგორსაც ღებულობს გაზეთებიდან.—ნუ აჩქარდებით—ეტყვის საგარეო საქმეთა სამინისტრო და კაპიტალისტმა უკვე იცის თუ რას ნიშნავს ეს სიტყვა: „ნუ აჩქარდებით." და მართლაც არც ჩქარობს ინგლისის კაპიტალისტი, ლაპარაკს აგრძელებს, აგრძელებს და ოდესაც პირდაპირ დაუსვამ საკითხს: თანახმა ხართ ესა და ეს საქმე აიღოთ,—გეტყვის: დღეს არ შემიძლია, ცოტა უნდა მოვითმინოთ. და ასეთი პასუხი არა ერთჯერ და ორჯერ მიუღია კ. პ. კანდელაკს.

მეორე მხრივ საგარეო საქმეთა სამინისტრო თავდასხმას აწარმოებს ეკონომიური მისიაზე. მისიას მოუვიდა ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროსაგან წერილი, რომლითაც იტყობინებოდენ, რომ საქართველოს მთავრობას დაეკავებია ბრიტანელ ვაჭრების თამბაქო, რომ ეს დაუშვებელია და თუ ეს არ გამოსწორდა, ისე საქართველოსა და ბრიტანეთა შორის ვაჭრული ურთიერთობა ვერ დამყარდებაო. ასეთივე იყო წერილი საფრანგეთის საგარეო სამინისტროდანაც.

რაშია საქმე? რამდენათ მართალია ყველა ეს ამბავი? ნუ თუ საქართველოს მთავრობა მართლა სძარცვავს უცხოელ ვაჭრებს? ნუ თუ მართლა ართმევს მას მის საკუთარ ქონებას? თუ აქ არის სხვა მიზეზი? თუ აქ არის მონოპოლია, რომელსაც არ ემორჩილებიან უცხოელი ვაჭრები და უფრო მეტათ ვაჭრუკანები, სპეკულიანტები, რომელნიც ფიქრობენ ძლიერთა ამა ქვეყნისათა წყალობით ფონს გავიდნენ?

ჩვენ ვფიქრობთ, ეს ასე უნდა იყოს; ჩვენ ვფიქრობთ საქმე ისე არ არის, როგორც ამას აღწერენ ვაჭრები ან ბრიტანეთის სახელმწიფოს წარმომადგენლები,—მაგრამ, სამწუხაროთ და ეს ფაქტია, კონტრ მოხსენება ამ სადავო საკითხის შესახებ, განათება და გაშუქება ამ საქმისა ჩვენი მთავრობის მიერ ან ჩვენი წარმომადგენლის მიერ არ მომხდარა. არ დავმალავთ და ვიტყვით, რომ ამ დღევანდელ სადავო საკითხის (თამბაქოების) გამო ბრიტანეთის ზღვას გაღმა საგარეო დეპარტამენტში ვერ ნახავთ ისეთ მოხსენებას, რომელიც უხსნიდეს მათ საქმის ვითარებას და გარემოებას, მაშინ, როდესაც საქართველოს საწინააღმდეგო მოხსენება მრავალთაა თავმოყრილი.

ამგვარათ, როგორც სარკეში, ისე სარკის უკან,—საქართველოს გარშემო დიდი გაუგებრობა და ჭორები ტრიალებს. ეს ჭორები არ მცირდება, გაუგებრობა არ მოკლდება, სამწუხაროთ, პირიქით იზრდება და იზრდება, იმდენათ იზრდება, რომ მალე დიდათ საშიშათაც გადაიქცევა და ჩვენ ყურადღებას მივაქცევთ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ამ მოვლენაზე, რათა მან სათანადო ზომები მიიღოს და ჭორების უარყოფა მაინც მოაწყოს. ეს იმდენათ აუცილებელია, იმდენათ საჭიროა, რამდენათაც საჭიროც არის ჩვეულებრივი სახელმწიფოებრივი მუშაობა ადგილობრივ, მუშაობა პატიოსნური და ერთგული.

ინგლისური სარკე, აქედან ანარეკლი სხივები დიდ ვნებას აყენებენ საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას და ხელს უშლიან მას ეკონომიურ ძაფების გაბმაში.

ვიქტორ ნოზაძე.

(შემდეგი იქნება)

საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან)

დონის ხუტორებში და სტანიცებში. ამ სათაურით ვინმე ვა'ილევსკი ხარკოვის „კომუნისტში" (№ 166) შემდეგს სწერს:

„არჩევნებია. ჩვეულებისამებრ ისმის ყვირილი, უაზრო ძახილი... არ არის მტკიცე ხაზი, კანდიდატები ბევრია. უმრავლესობა მიიღო ვინმე ივან ნიკიტინმა, აღმოჩნდა, რომ ეს ნიკიტინი დენიკინთან სტროსტათ ყოფილა, 1919 წელში კი ბოლშევიკების ისპოლკომს თავმჯდომარეობდა. ივან ნიკიტინი „კეთილ სინდისიერად" ემსახურება ყოველგვარ მთავრობას. მისი სახიდან ქვის მსგავსი სიცრუე გამოიყურება. „უყვარს კანონი და წესრიგი"—ამბობენ მასზე სტანიცაში. არჩევნებით მეტათ კმაყოფილნი არიან „კულაკები". ივან ნიკიტინის არჩევით სტანიცაში კვლავ დამყარდა კანონიერება და წესრიგი, მაგრამ წესრიგი არა პროლეტარების, არამედ—კულაკების.

შემდეგ ავტორი წერილისა აწერს ბუნებას და ამბობს: ბაღები, ბაღჩები. ბუნება მდიდარია, მაგრამ ცხოვრება ბნელი, პირველყოფილია. არ უბერავს ცოცხალი კომუნიზმის სიო. მათთვის ძალიან უცხოა ყველაფერი „საბჭოსებური". სტანიცაში მარტო მოხუცები და ახალგაზრდა ქალებია. ახალგაზრდა ყაზახები არ სჩანან.

—„სად არის შენი ქმარი, შვილი"? ვეკითხები ქალებს.

—„არ ვიცი... მოკვდა. ორი წელია სახლში არ ყოფილა" და სხ. —მიპასუხებენ.

„კულაკები" პურს არ იძლევიან. ზოგიერთ ადგილებიდან ძალით გამოგვაქვს.

დონის მინდვრებში მთელი ჯოგი დეზერტირებისა დადის და იმალება ყაზახებს—კულაკებს ისინი უყვართ, პატივს სცემენ.

Не одна тысяча тунеядцевъ, выжигъ, шарлатановъ живетъ и жрѣтъ на казацкихъ хлѣбахъ.

დიდი ხანგრძლივი ბრძოლაა საჭირო, რომ დონი გაიწმინდოს ნაძირალებისაგან.

დონში კომუნისტების დიდი ნაკლებობაა. ქალაქებში ცოტა მომუშავეა. სოფლად ხომ სულ მცირეა. სამაგიეროდ—присосавшихся—сколько угодно. Вольныхъ апетитовъ—тьма тьмущая...

გახსოვდეთ სათბობი მასალა! გუბისპოლკომის დღევანდელ სხდომის დღის წესრიგში პირველ საკითხადა სდგას საკითხი სათბობი მასალისა და მის დასამზადებლათ დიქტატურის დაარსების შესახებ. საბჭოთა რუსეთის შინაგან სამეურნეო აღმშენებლობის აყარება ფრონტებში მეტათ დიდი მნიშვნელობა აქვს სათბობის მასალის ფრონტს. საკითხი სათბობი მასალის შესახებ, რომელიც მჭიდროთ არის დაკავშირებული ჩვენი ტრანსპორტის აღორძინების საკითხთან, ეხლა ღებულობს განსაკუთრებით მწვავე ფორმებს, რადგანაც მოახლოვებულია შემოდგომა და ზამთარი. საბჭოთა მთავრობის მთელი აღმშენებლობით მუშაობა, მთელი მისი გმირობა და გამუდმებული მუშაობა, მიმართული ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების აღორძინებისაკენ, სიცივისა და შიმშილის, არევ-დარევის, უსაქონლობის და ეპიდემიების გადალახვისაკენ,—ყველა ეს სრულიად უნაყოფო გახდება იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ ეხლავე მთელი ჩვენი ენერგია და ყურადღება არ მივაქციეთ ამ ჩვენი მეურნეობით აღმშენებლობის სულ ყველაზე უფრო სერიოზულ საკითხს—სათბობი მასალის საკითხს. თუ არ იქნება სათბობი მასალა, მაშინ მუშების ფართო მასსებს ვერ ასცდება შიმშილობა და ტანჯვა ვაება.. თუ არ იქნება სათბობი მასალა,—ეს კიდევ უფრო დაშლის, და გაანადგურებს ჩვენს ტრანსპორტს. სათბობის მასალის უქონლობა საბოლოოთ ჩაჰკლავს ჩვენს წარმოებას; და ეს იქნება არა მარტო სერიოზული დაბრკოლება წარმოების აღორძინების საქმეში, არამედ—ეს გარემოება მოსპობს ჩვენი წარმოების აღორძინების სფეროში მოპოვებულ გამარჯვებებს, რომლებიც შრომის ნაყოფიერების ზრდასთან და მუშათა კლასის მშრომელ გმირობასთან ერთად ას წლევან წარმოების სათანადო სიმაღლემდის. სათბობი მასალის უქონლობა შეაჩერებს ტრანსპორტის აღორძინებას და ამიტომ კიდევ უფრო დააშორებს ერთმანეთს საბჭოთა რესპუბლიკის სხვადასხვა ნაწილებს და დამღუპველ გავლენას იქონიებს ჩვენს სასურსათო მდგომარეობაზე; ის გახდება წითელი არმიის დიდ დაბრკოლებათ, შექმნის მის ზურგიდან მოწყვეტილ მდგომარეობას, რის გამოც შეიძლება სრულიად უქმი გახდეს მისი ბრწყინვალე გამარჯვებები და გაძნელდეს მისი შემდეგი წარმატებების გზა. სათბობი მასალის უქონლობა მძიმე მდგომარეობაში აყენებს საავადმყოფოებს, სკოლებს, ლაზარეთებს, ბავშვთა სახლებს და სხვ. და ამით ხელს უწყობს ავადმყოფობათა და ეპიდემიის გავრცელებას. აი, რატომ უნდა იყოს დღევანდელი დღის საომარ ლოზუნგათ: ყველანი სათბობი მასალის ფრონტზე! ციფრები ამტკიცებენ, რომ ჩვენ ამ მხრივ მივაღწიეთ განსაზღვრულ შედეგებს, მაგალითად, 110 ათას კუბ. შეშისაგან, რომელიც მიმდინარე წელს უნდა დამზადებულიყო, 1920 წ. პირველ ნახევარში უკვე დამზადდა 65 ათასი კუბი. ხარკოვის მუშა-მცხოვრებლების და ყველა მის დაწესებულებათა უზრუნველსაყოფათ—დაგვჭირდება მინიმუმი 50 მილ. ფუთი შეშა, რის დამზადებასაც გუბლესკომი გვპირდება. ამგვარად ყოველივე მშრომელი ოჯახი უზრუნველყოფილი იქნება შეშით—თვეში 12—20 ფუთამდე. და მისთვის, რომ განვახორციელოთ ჩვენი განზრახვები სათბობი მასალის შესახებ, რომ უზრუნველ ვყოთ სათბობი მასალით მშრომელი ხალხი, რომ არ დავშალოთ ჩვენი ტრანსპორტი, არ გავართულოთ ჩვენი სასურსათო მდგომარეობა, რომ დავიცვათ სიცივისაგან ავადმყოფები და ბავშვები ამისათვის ჩვენთვის საჭიროა გმირული ზომები, მუშათა კლასის შრომის ენტუზიაზმი, განსაკუთრებული ღონისძიებანი და განსაკუთრებული ენერგია. აქეთკენ უხმობს საბჭოთა მთავრობა რესპუბლიკის მშრომელ ძალებს. მაშ, წინ, გადავიდეთ გადამწყვეტ შეტევაზე საბჭოთა რესპუბლიკის მთელ სათბობ ფრონტზე. **ლ. ურალოვი.** (ხარკოვის „პროლეტარი" № 56).

„წითელ" აზერბეიჯანში

(გაზეთებიდან)

მოუსავლობა. აზერბეიჯანში წელს ნამეტანი ცოტა მოსავალი იყო და მცხოვრებლები ვერ გამოიკვებიან საკუთარი პურით სახელმწიფოს დაუხმარებლათ („კრ. ვოინ" № 177).

პოლიციელები „რევკომებში". ნარკომვნუდელმა განკარგულება გასცა, რომ ყველა რევკომებიდან დაითხოვონ ყველა კონტრ-რევოლიუციონერები, კულაკები, ბეგები, ხანები და მეფის პოლიციელები. („კრ. ვოინ" № 177).

ყაჩაღთა თავდასხმები ასტარაში. ასტარის რევკომი იუწყება, რომ მთიან ადგილებში თავმოყრილი ყაჩაღთა ბრბოები პერიოდიულათ თავს ესხმიან ასტარას და მის მიდამოებს. („კრასნი ვოინ" № 177).

რევტრიბუნალში. სამხედრო-საველე ტრიბუნალმა დახვრეტა გადაუწყვიტა მ. ორიტოვს, რომელმაც 15 წლის ქალი გააუპატიურა და მარიამ მამედოვის გაუპატიურებას ცდილობდა. („კრ. ვოინ" № 177).

წერა-კითხვის უცოდინარნი. უკანასკნელ სტატისტიკურ ცნობებით მაჰმადიანთა 80 % წერა-კითხვის უცოდინარია. საჭიროა 2600 მასწავლებელი. („კრ. ვოინ." № 176)

მოსავლის დაღუპვა ყარაბაღში. ყარაბაღში წელს მოსავალი დაიღუპა. ჯევადის და შუშის მაზრებში მოსავალი გაფუჭდა კონტრ-რევოლიუციონერ აჯანყების გამო.

მცხოვრებთა განიარაღება. ქიურდამირის რევკომმა ახლო მახლო სოფლების მცხოვრებლებს წინადადება მისცა იარაღი ჩააბარონ მთავრობას. („კრ. ვოინ". № 275).

„წავიდეთ ამხანაგების დაძახილზე". ამ სათაურით „კრ. ვოინ" ის № 174-ში დაბეჭდილია ასეთი ცნობა: „სადგურ აქსტაფის მუშა მოსამსახურეთა საერთო კრებამ მოისმინა ამხ. ქართველ კომუნისტების მოხსენება და დაადგინა: „საქართველოს ამხ. მუშათა და გლეხთა პირველ დაძახებისთანავე წავიდეთ მის დასახმარებლად, რათა საქართველოს მენშევიკ-„სოციალმატელების" ბურჟუაზიული მთავრობა დავამხოთ".

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

1 სექტემბერი

ბალშევიკების ცნობები

ტროცკის წერილიდან

გერმანიის დამარცხების შემდეგ ვრანგელმა მიმართა ინგლის-საფრანგეთის მთავრობას. მაგრამ საფრანგეთის მთავრობა უნდობლად ეპყრობოდა და მას გერმანელების აგენტათ სთვლიდა. ვრანგელის სამსახური საჭირო იყო, როდესაც მომზადდა პოლონეთის თავდასხმა უკრაინასა და რუსეთზე. საფრანგეთმა დაიქირავა გერმანელი ბარონი პოლონეთის თეთრ ჯარის დასახმარებლად. აი რატომ მიისწრაფის ვრანგელი დონისა და ჩრდილო კავკასიისაკენ.

ფინეთი და რუსეთი.

ტერიტორიალურმა კომისიამ განიხილა საკითხი ფინეთის შესახებ. საკითხების უმეტეს ნაწილში მოხდა შეთანხმება.

ცეცხლის გაჩენთა გასამართლება.

სამხედრო სარევოლიუციო საბჭომ გამოაქვეყნა ბრძანება საარტილერიო საწყობებში 7 აგვისტოს მომხდარ ცეცხლის შესახებ. ცეცხლი გაჩნდა მოსამსახურეთა უყურადღებობის გამო და უსათუოდ პოლონეთის აგენტების დახმარებით. გამოძიების შემდეგ გამოირკვა, რომ მონაწილეობას იღებდენ სარდლობის წევრებიც. სამხედრო ტრიბუნალმა განიხილა ეს საქმე და 12 კაცს, მათ რიცხვში საგანგებო განყოფილების უფროსს, როტის უფროსს და საზღვრის მორიგეს დახვრეტა მიუსაჯა. 14 მიუსაჯა იძულებითი მუშაობა 15 წლიწადს. დანარჩენებს კი მიუსაჯეს იძულებითი მუშაობა მოკლე ვადით. 48 კაცი გაამართლეს.

ლიონის ცნობები

ბრესლავში მომხდარ ინციდენტის გამო საფრანგეთი დაკმაყოფილებას მოითხოვს.

საფრანგეთის ელჩმა საგარეო საქმეთა მინისტრს საფრანგეთის მოთხოვნილებანი გადასცა. ეს მოთხოვნილებანი უმოკლეს დროში უნდა იქნეს დაკმაყოფილებული. მოთხოვნილების მიხედვით 1) გერმანიის მთავრობამ საკონსულო უნდა აღადგინოს. 2) იმ ზარალის ასანაზღაურებლათ, რომელიც საკონსულოს აგენტებს მიაყენეს გერმანიამ 100,000 ფრ. უნდა გადაიხადოს. 3, დამნაშავეთა და პასუხისმგებელ პირის დასჯა. 4) საკონსულოს ზეიმით გახსნა. საფრანგეთის მთავრობა მოითხოვს აგრეთვე ივლისის 7 მომხდარ ინციდენტის ლიკვიდაციას. ის როტის უფროსი, რომელმაც საელჩოს წინ დემონსტრაცია მოაწყო, უნდა დაისაჯოს. იუწყებიან, რომ გერმანიის სხვადასხვა ქალაქებში საფრანგეთის წინააღმდეგ მიმართული დემონსტრაციები გრძელდება.

საფრანგეთის მთავრობა ფიქრობს, რომ ასეთი აუტანელი მდგომარეობა დღითი დღე უფრო უარესდება, თუ გერმანიის მთავრობამ არ მიიღო ენერგიული ზომები რომ... (დამახინჯებულია).

პოლონეთის შტაბის ცნობა.

აგვისტოს 29 მცხოვრებნი დიდი აღფრთოვანებით შეხვდენ პოლონეთის ჯარებს, რომლებიც ავგუსტოვში შევიდენ. ლიტველების რაზმები მათ მეგობრულად შეხვდენ. ბელოსტოკის რაიონში პოლონელების შეტევის გამო მოპირდაპირე უკან დახევას განაგრძობს. პოლონელებმა აიღეს სოკოლკა, გროდნე (გროდნო) და ნარევი. გრაჰოვიელი, რომელიც დროებით დაკავებული იყო, კონტრ შეტევით კვლავ დავიკავეთ.

ესპანეთის კაბინეტი.

მეფე ალფონს მე-13 ბ. დატის მთავრობაში დარჩენა სთხოვა. შინაგ. საქ. მინისტრის ადგილი ბერგალინის მაგივრათ გრ. ბუგალამ დაიკავა. მარკიზი პორტაგო განათლების მინისტრათ დაინიშნა.

ვენიზელოსი.

კოკუზის სააგენტო იუწყება: თანახმად პარიზიდან მოსულ ცნობებისა ვენიზელოსი აგვისტოს 31. საფრანგეთიდან პირეიში ჩავიდა. ათენის მცხოვრებნი პრემიერს ზეიმით შეხვდნენ. მის ჩამოსვლისას გაისროლეს ზარბაზნებიდან ყველა ეკლესიაზე ასტეხეს ზარების რეკა. ჯარი და ხალხი მიესალმა მას. მეფე ალექსანდრემ ვენიზელოსი ჩამოსვლისთანავე ინახულა. ვენიზელოსი აივნიდან ხალხს მიესალმა ქალაქი დროშებით იყო შემკული.

ფრანგული ცნობები

ცნობის უარყოფა

„პარიზში მყოფი იტალიის დელეგაცია უარყოფს ცნობას მოსკოვში იტალიის ოფიციალური წარმომადგენლის გაგზავნის შესახებ.

ბულგარეთი და პატარა ანტანტა

პრაგის ერთ ერთ გაზეთში უარყოფილია ცნობა თითქოს, ბენეშსა და სტამბულინსკის მოლაპარაკება ქონდეთ ბულგარეთის პატარა ანტანტაში შესვლის შესახებ.

„ომ-ლიბრა" შიშს გამოსთქვამს, რომ ჩეხო სლოვაკიის სამხრეთ სლავიის და შესაძლებელია, რუმინეთისა და საბერძნეთის კავშირმა, არ გამოიწვიოს მეორე კავშირი პოლონეთისა, უნგრეთისა და ბულგარეთის შორისო.

საფრანგეთ-ბელგიის კონვენცია.

საფრანგეთის პრესა ამტკიცებს, რომ საფრანგეთ-ბელგიის კონვენცია აუცილებელიაო.

პოლონეთის ფრონტი

ამ ჟამად პოლონეთის ფრონტი მტკიცეა. პოლონეთის გამარჯვება ბალშევიკების გეგმას ანადგურებს.

პრესა ანგარიშობს პოლონელების მიერ წაყვანილ ტყვეების რაოდენობას. ტყვეები უდრის 100,000 კაცს აღმოსავლეთ პრუსიაში გადასულია 70,000 კაცი. ამას ემატება დახოცილ და დაჭრილთა რიცხვი. მიუხედავათ ამისა ბალშევიკების სარდლობა, როგორც სჩანს ომზე უარს მაინც არ აცხადებს.

საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

2 სექტემბერი.

მოსკოვი. 18 აგვ. „პრავდა" იუწყება: ბუხარის მოლებმა ემირს სამჯერ მიმართეს პეტიციით, რომელშიაც რუსეთთან ომს და ყველა რუსების განდევნას მოითხოვდენ.

სტრუვეს წერილი.

იმავე გაზეთს 3. სტრუვეს ერთ-ერთ წერილიდან ამონაწერები მოჰყავს. თავის წერილში სტრუვე სწერს: „საშიშროება მდგომარეობს არა ბოლშევიზმში, რომელიც სუსტი და წარმავალია, არამედ იმაში, რომ ბოლშევიზმმა რუსეთი დაანაწილა. მოკავშირეებთან ერთად სიარული ჩვენ შეგვეძლო მანამდე, სანამ ისინი გერმანელ, ან საერთოდ ანტირუსულ თვალსაზრისზე არ დადგებიან. ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეიგნონ, რომ ურუსეთოდ ევროპაში წონასწორობის დამყარება შეუძლებელია. თუ არ აღსდგა ძლიერი და შეკავშირებული რუსეთი, ისე ევროპის ძველ კულტურის თავზე ბოლშევიზმის საფრთხე ყოველთვის იარსებებს. რუსეთის ყველა საკითხის სიმძიმის ცენტრი ინგლისში გადავიდა. უნდა ითქვას, რომ ინგლისი მეტ ყურადღებას აქცევს რუსეთის საკითხს. ეს უნდა ვაღიაროთ, თუმცა ინგლისის მუშათა კლასმა გარკვეული სოციალისტური სახე მიიღო. მაგრამ ინგლისის პროლეტარიატს ბრძოლა კვლავ ეკონომიურ ნიადაგზე გადააქვს და ამიტომ რუსეთის საკითხს უფრო გონიერათ აფასებს.

ამერიკა და რუსეთი.

პარიზი. 23 აგვ ამერიკის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანმა კოლბმა განაცხადა, რომ ამერიკასა და საფრანგეთს შორის რუსეთ-პოლონეთის საკითხის შესახებ სრული შეთანხმება მოხდაო. თუმცა ამერიკა წინააღმდეგია ვრანგელის ცნობისა, მაგრამ ეს უთანხმოება პარიზსა და ვაშინგტონს შორის ტაქტიკურ მოსაზრებიდან გამომდინარეობს. ბოლშევიკურ პოლიტიკის შესახებ კოლბმა განაცხადა: საკმარისია დავაკვირდეთ ბოლშევიკების საქმეებს, საბჭოთა მთავრობის განცხადებას და მის საქმეებს, რომ ნათლად შევამჩნიოთ წინააღმდეგობა ბოლშევიკურ საქმესა და სიტყვებს შორის.

გერმანიის პროტესტი

ბერლინი. 21 აგვ. გერმანიის მთავრობამ პარიზს, ლონდონს და რომს პროტესტი განუცხადა. პროტესტი გამოწვეულია იმ გადაწყვეტილებით, რომელიც უმაღლესმა საბჭომ გამოიტანა და რომელიც აღმოსავლეთ პრუსიის დასავლეთ პრუსიისაგან ჩამოშორებას ეხება.

მუსტაფა ქემალი და სახალხო ყრილობა

კონსტანტინოპოლი. 25 აგვ. „იერგირი" იუწყება: მუსტაფა ქემალმა ანგორის სახალხო ყრილობის გაშვება გადასწყვიტა.

სრუტეების კომისია

მოკავშირე სახელმწიფოებმა სრუტეების კომისიის დაარსება გადასწყვიტეს.

ინგლისი და საფრანგეთი.

პარიზი. საფრანგეთის პრესა ინგლის-საფრანგეთის კონფლიქტის სრულ ლიკვიდაციას აღნიშნავს. „ტანი" გადმოგვცემს, რომ მილიერანსა და ლოიდ ჯორჯის შორის მომხდარ მოლაპარაკებას, რომელიც ინგლის-საფრანგეთის პოლიტიკას შეეხებოდა, შედეგათ სრული შეთანხმება მოყვაო. „მატენი" იუწყება: ინგლისსა და საფრანგეთს შორის მომხდარ შეთანხმებას საფუძვლად ისეთი ზომების მიღება არის საჭირო, რომლებიც რუსეთში ნორმალურ ცხოვრებას აღადგენსო.

ხალხთა ლიგა.

ლონდონი. აგვ. 20. ლორდმა სესილმა წინადადება შეიტანა, რომ ერთა ლიგის განკარგულებაში იყოს სამხედრო ძალა, რათა მის დადგენილებას არა მარტო მორალური, არამედ აქტიური მნიშვნელობაც ქონდესო. ლორდ სესილს საჭიროდ მიაჩნია შეიქმნას სამხედრო ფლოტი და გადაეცეს ერთა ლიგას მის სრულ განკარგულებაში. სესილის პროექტის შესახებ იმსჯელებენ ერთა ლიგის ნოემბრის სესიაში.

უთანხმოება „სოვნარკომში".

გაზეთ „ტაიმსი" ცნობით ლონდონში მიღებულია ცნობა „სოვნარკომში" დაწყებულ უთანხმოების შესახებ. ტროცკი კატეგორიულად თხოულობს პოლონეთის საწინააღმდეგო სამხედრო ზომების გასაძლიერებლად ყოველი ღონისძიების მიღებას. ტროცკის აზრით პოლონეთთან ზავი წითელი არმიის დაშლასა და რუსეთში ეროვნულ გრძნობის განელებას გამოიწვევს.

ოსმალეთში.

სტამბოლი. აგვ. 23. ადგილობრივი პრესის ცნობით მოკავშირეთა მისიების წარმომადგენლებმა საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შემდეგ ინახულეს სულთანი.

სტამბოლი. აგვ. 23. „ჯაკიტის" ცნობით ოსმალეთის ეკონომიური მდგომარეობა უიმედოა. საეჭვოა, რომ ოსმალეთმა ოდესმე გაიუმჯობესოს მდგომარეობა. მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მიღებული ღონისძიებანი ოსმალეთის ხალხს დაბეგრავს დიდი გადასახადებით. სახელმწიფოს ბუნებრივი სიმდიდრეები კი უცხოელთა კონტროლ ქვეშაა. ინგლისურ გაზეთს „ორიენტნიუს" მოჰყავს „ჯაკიტიდან" ეს ადგილი და სწერს: გაზეთი სიბრმავის გამო ვერა ხედავს, რომ მხოლოდ უცხოეთის კონტროლს შეუძლიან დაიხსნას ოსმალეთი.

პოლონეთის ფრონტზე.

ნაუენი. (რადიო) ბილოსტოკის რაიონში პოლონელთა შეტევა წარმატებით ვითარდება. პოლონეთის ჯარებმა აიღეს: ავგუსტოვი, სოკოლკა, გროდიკი (გროდნო) ნარევი პოლონელების მიახლოვების გამო ბოლშევიკებმა მთელი რიგი პუნქტებისა დასტოვეს.

ლიონი. (რადიო) პრესა იუწყება: პოლონელებმა ხელთ იგდეს 100.000 ტყვე. პრუსიის საზღვარზე გადავიდა 70.000 წითელი. მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი ბევრია. მიუხედავათ ამისა ბოლშევიკური მთავრობა ომის წარმოებაზე უარს არ აცხადებს.

ინტერვიუ ევ. გეგეჭკორთან.

რომი. გარეშე საქმეთა მინისტრს ევ. გეგეჭკორს გაზეთ „ტრიბუნას" თანამშრომელმა ინტერვიუ გაუკეთა. გეგეჭკორმა განაცხადა, რომ ქართველი ხალხი მეგობრული გრძნობით არის გამსჭვალული იტალიისადმი. ჩემი ჩამოსვლის მიზანია ევროპის პოლიტიკის ხელმძღვანელებთან და ერთა ლიგასთან მოლაპარაკება გავმართო საქართველოს „დე იურეთ" ცნობის შესახებო.

ბალშევიკების თანხმობა.

ლიონი. (რადიო) „მატენი" იუწყება: ვარშავიდან მიღებულ ცნობით ბალშევიკები დათანხმებულან პოლონეთთან საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას.

საქართველოში არსებული რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლობის ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი.

2 სექტემბერი

საქართველოში არსებულ რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლობის ბეჭდვითი ბიურო იუწყება: „გრუზტა"-ს ცნობა 1 სექტ. თფილისში ამხ. კიროვის ჰუსეინოვის და ნარიმანოვის ჩამოსვლის შესახებ, ალბათ, საკმაოდ საიმედო წყაროებიდან არ არის მიღებული. ჩამოვიდა მხოლოდ ამხ. ჰუსეინოვი, ამხ. კიროვი კი, რომელიც 30 აგვისტოს აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობაზე დასასწრებლათ გაემგზავრა, ჯერ არ დაბრუნებულა. ხოლო რაც შეეხება ამხ. ნარიმანოვს, ის ამ ჟამად ბაქოშია და თფილისში ჩამოსვლას არ აპირებს.

რესპუბლიკის „რევოენ სოვეტის" საველე შტაბის სამხედრო რადიო ცნობა. 1 სექტ.

მოსკოვი, 2 სექტ. (რადიო) გროდნოს რაიონში სოკოლკის ჩრდილოეთით ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებია. ხოლმის რაიონში ჩვენი ჯარი შეებრძოლა მდ. დასავლეთის ბუგზე გადმოსულ მტერს და მარცხენა ნაპირზე გადადევნა. ვოლინის ვლადიმირის რაიონში ჩვენი ჯარი შეტევას ანვითარებს, გრუბეშოვის დაჭერის შემდეგ მის დასავლეთით 10 ვერსზე რამდენიმე სოფლები კიდევ აიღო. სოკალის რაიონში ბრძოლა ჩვენ სასარგებლოთ გაგრძელდება.

ლვოვის რაიონში მტერმა ჩვენ ჯარს რამდენიმეთ უკან დაახევინა აღმოსავლეთისაკენ, ლვოვ-ბროდის რკინის გზის ჩრდილოეთით.

ყირიმის ფრონტზე. პერისლავის და ორეხოვის რაიონებში ჩვენი ჯარი მტერს ებრძვის, რომელიც მკაცრ წინააღმდეგობას უწევს.

რესპ. „რევვოენსვეტის" საველე შტაბის ვუნკომის მაგიერ ვასილევი.

უნგრეთის წინადადება.

სტოკჰოლმი. 19 აგვ. „ტან"-ის 10 აგვისტოს ნუმერში დაბეჭდილია ცნობა ვარშავიდან, რომ 7 აგვ. დაშინსკიმ მიიღო უნგრეთის დელეგაცია, რომელიც უანგარო დახმარებას დაჰპირდა პოლონეთს დაჰპირდენ მრავალრიცხოვან დივიზიებს, ლაპარაკობდენ 110 ათას კაცის გამოგზავნის შესახებ თავისი მოწყობილობით, დაჰპირდენ სატრანსპორტო საშუალებებს და საკვებ მასალას, რომლის დიდი მოსავალი იყო წელს უნგრეთში.

გერმანიის პროფეს. კავშირთა წარმომადგენლების ჩამოსვლა.

მოსკოვი. 24 აგვ. გერმანიიდან პეტროგრადში ჩამოვიდნენ გერმანიის პროფეს კავშირთა წარმომადგენლები: ბერლინის მელითონეთა კავშირის თავმჯდომარე ამხ. ოსკარ რუში, მბეჭდავების კავშირის თავმჯდ.—ამხ. იოზეფ ჩერინი და მკერავთა კავშირის თავმჯდ. ამხ. ვილჰელმ შუმახერი. მათი ჩამოსვლის მიზანია რუსის მუშათა პროფესიონალურ მოძრაობის შესწავლა, ჩვენ პროფესიონალურ ორგანიზაციებთან მტკიცე კავშირის დამყარება და, უმთავრესად, რუსეთში გერმანელ მუშების ემიგრაციის საკითხის გამორკვევა. გერმანიიდან ჩამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ რუსეთის პროფესიონალურმა მოძრაობამ უკვე ბევრი რამ მისცა საერთაშორისო პროფესიონალურ მოძრაობას. გერმანიაში ამ ჟამად პროფესიონალური კავშირები ჩვენი კავშირების მიხედვით ეწყობა და ცეხურ ორგანიზაციების მაგიერ წარმოებით კავშირებათ იქცევა. მე III კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესი ძალიან აინტერესებდა გერმანელ მუშებს. ბერლინში მელითონეთა კავშირის წევრთა უმეტესმა ნაწილმა მე III ინტერნაციონალში შესვლას დაუჭირა მხარი, ხოლო ბერლინის კავშირის სულიერი განწყობილება მაჩვენებელია მთელი გერმანიის მუშათა სულიერი განწყობილებისა.

ევროპის მუშათა მისია საქართველოში

4 აგვისტოს „მორნინგ პოსტ"-ში და „ტაიმსში" დაბეჭდილია შემდეგი: ჟენევა, აგვისტოს 3. საქართველოს (ტრანსკავკასია) სოციალისტური მთავრობის მიპატიჟებით მუშათა მისია ეწვევა ამ ქვეყანას მომავალ თვეში იქ სოციალურ და პოლიტიკურ პირობების გამოსარკვევათ. მისიაში შედიან ბბ. ვანდერველდე, ჰუისმანი და დ. ბრუკერი (ბელგია). ბბ. რამზეი მაკდონალდი და თომ შოუ და მასის სნოუდენი. (დიდი ბრიტანეთი) და შესაძლებელია კ. კაუცკიც (გერმანია). ვიზიტის მიზანია საქართველოს პირობები შეადაროს სხვა ქვეყნის პირობებთან. მისია სექტემბრის სამს გაემგზავრება.

საბერძნეთის მისიის ცნობა

ვენიზელოსმა მწუხარება გამოსთქვა იმის გამო, რომ ათინაში მისმა მოკვლის განზრახვამ ექსცესები გამოიწვია, პრემიერმა განაცხადა, რომ უწესოების მომწყობნი და აგრეთვე მძარცველი პირები, რომლებმაც დაუდევრობა გამოიჩინეს, დასჯილნი იქნებიანო, ათინაში მომხდარ ექსცესების დროს მოკლეს ყოფილი პრემიერის დრაგუმისის შვილი, ოპოზიციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ვენიზელოსმა ამის გამო დრაგუმისს დეპეშით თავისი მწუხარება აუწყა.

— —

საბერძნეთსა და ბულგარეთის შორის დიპლომატიური დამოკიდებულება განახლდა. საბერძნეთის სრულ-უფლებიან წარმომადგენლად სოფიაში პონურგიასი დაინიშნა.

— —

სმირნაში და მცირე აზიის საბერძნეთის ზონაში მთელი ადმინისტრატიული ძალა-უფლება ბერძნებს გადაეცა.

— —

გაზეთი „პიმ საბახი" იუწყება: კონსტანტინოპოლის მთავრობამ გადასწყვიტა მიიღოს სასწრაფო ზომები ქემალისტების წინააღმდეგ.

— —

კონსტანტინოპოლის სამხედრო სასამართლომ ქემალისტების მოძრაობაში

მონაწილეობის მიღებისათვის სიკვდილით დასჯა გადაწყვიტა.

პარიზში მყოფი სომხეთის დელეგაცია ოფიციალურად აცხადებს, რომ სომხეთი ავტონომიურ პონტის სასარგებლოდ ტრაპიზონდზე მისთვის მინიჭებულ ყოველგვარ უფლებაზე უარს აცხადებს.

სომხეთში

ერევანი, 1 სექტემბერი. მოიწყო: „სამშობლოს გადარჩენის კომიტეტი: კომიტეტში საზოგადო და პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები შედიან. კომიტეტმა გამოუშვა მოწოდება, რომელშიაც იგი ხალხს ქვეყნის დახსნის მიზნით გაერთიანებისაკენ მოუწოდებს.

შირაქის გუბერნია სამ მაზრათ არის გაყოფილი. ახალი მაზრის ცენტრად ყაზილ ჩახჩახი იქნება.

ალექსანდროპოლში სამხედრო სასამართლო დაწესდა.

სომხეთის მთავრობამ ალექსანდროპოლის პროფესიონალურ კავშირის საბჭოსაგან შემდეგი დეპეშა მიიღო. „საბჭო მზათ არის მიიღოს მონაწილეობა დემოკრატიის აღმშენებლობითი მუშაობაში. საბჭო მხარს გიჭერთ თქვენ ქვეყნის მტკიცე მართვა-გამგეობაში. ალექსანდროპოლის პროლეტარიატი აცხადებს, რომ იგი მთავრობასთან ერთად მზათ არის იბრძოლოს სომხეთის დამოუკიდებლობის და თავისუფლების დასაცავად.

„აზხატავორი" იუწყება, ალექსანდროპოლში 234 დაპერილთაგან განთავისუფლებულია 120, გადასახლებულია 5, სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს 3. დამნაშავეთა მთავარ ელემენტს ბოლშევიკები და სისხლის სამართალში მიცემულნი შეადგენენ.

ახალი ამბები

დღეს საღამოს 6 საათზე დანიშნულია საქ. ს.-დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის მორიგი სხდომა.

◆ **მთავრობაში.** აგვისტოს 26 სხდომაზე მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის მოხსენების შემდეგ მთავრობამ გადასწყვიტა: 1) გააუქმოს თავდაცვის საბჭო, 2) თავდაცვის საბჭოს გამგებლობაში არსებული თანხა დაუბრუნდეს სახელმწიფო კონტროლს. ამასთანავე ის თანხა განწესებულ იქნეს იმავე მიზნისათვის, რისთვისაც იგი იყო გამოთხოვილი, 3) მთავრობის სახელით გამოეცხადოს მადლობა მთავარ სარდალს თავდაცვის საბჭოში მუშაობისათვის და 4) დაევალოს სამხედრო სამინისტროს მიიღოს თავდაცვის ყველა საქმეები.

◆ **მომარაგების სამინისტროში.** თანახმად მომარაგების მინისტრის მოხსენებისა, მთავრობამ დაადგინა: 1) მომარაგების სამინისტროს მოთხოვნილებით სანამ საკითხი სურსათ-სანოვაგის რაოდენობისა არ გამოირკვევა ყველა უწყება ვალდებულია ზედმეტი სამუშაო შეასრულოს, 2) ზედმეტი სამუშევარისთვის მუშებს მომარაგების სამინისტრო დააკმაყოფილებს.

◆ **ზურგის უფროსის თანამდებობის გაუქმება.** მთავრობამ დაადგინა: გააუქმოს ზურგის უფროსის თანამდებობა და გამოეცხადოს სულაქველიძეს და მის თანაშემწეს მადლობა მათი მუშაობისთვის.

◆ **განსაკუთრებული ტანისამოსი მატარებელთა ბრიგადისათვის.** თანახმად გზათა მიმოსვლის მინისტრის მოხსენებისა მთავრობამ დაადგინა: გადაეცეს რკინის გზის საოპერაციო თანხიდან 3.600.000 მ. მატარებელთა ბრიგადის ტანისამოსის შესაძენად.

◆ **ჰიდრო-ტეხნიკური კურსები.** თანახმად ფინანსთა მინისტრის მოხსენებისა, მთავრობამ დაადგინა: მოაწყოს ჰიდრო-ტეხნიკური კურსები. ფინანსთა მინისტრს დამფუძნებელ კრებაში სათანადო დეკრეტის შეტანა დაევალა.

◆ **ტფილისის ერობა**, სექტემბრის 5 მოხდება ტფილისის ერობის ხმოსანთა ყრილობა. მსჯელობის საგანია: 1) ერობის საჭიროებისათვის ზოგიერთ ქონების იძულებით ჩამორთმევა. 2) გამგეობის მეექსე წევრის არჩევანი და მიმდინარე საკითხები.

◆ **მფრინავ კილტავას დაკრძალვა.** აგვისტოს 31 სხდომაზე მთავრობამ დაადგინა მფრინავი კილტავა დაკრძალოს თავის ხარჯით და ამ საქმისთვის გადასდო 60,000 მანეთი.

◆ **ქართველი სტუდენტები პეტროგრადში.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიღო ცნობა, რომ პეტროგრადში ცხოვრობენ შემდეგი ქართველი სტუდენტები; 1) კ. აბულაძე, 2) ლაბაძე, 3) ნ. ლეკვაშვილი, 4) შ. მიქელაძე, 5) ი. ჟორდანია, 6) შ. ნადარაძე, 7) ა. ხელაიძე, 8) ღლონტი, 9) უხოვა, 10) შერვაშიძე, 11) ჩაჩავა, 12) გიორგაძე, 13) ლოლობერიძე, 14) დუმბაძე, 15) მ. ვაჩნაძე, 16) ა. ბაზაძე, 17) გარაყანიძე, 18) ა. ფხაკაძე, 19) სალუქვაძე, 20) გურგენიძე, ყველანი ჯანმრთელად არიან.

◆ **სამეურნეო სკოლა.** მიწად მოქმედების სამინისტრომ მიიღო სამეურნეო სკოლის ხელმძღვანელთა და მსმენელთაგან მადლობის დეპეშა. დეპეშაში ისინი იმედს გამოსთქვამენ, რომ ახლო მომავალში შეიძლებენ ადგილობრივ იქეთ ნედლ მასალის დამუშავებას, როგორიც არის მატყლი, ბამბა, აბრეშუმი და სხვა, რითაც ხელს შეუწყობენ საქართველოს ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას.

წითელი ჯვარი. მთავრობამ შეიწყნარა წითელი ჯვრის საზოგადოების შუამდგომლობა წესდების შეცვლის შესახებ.

◆ **ახალი წისქვილი.** დადგენილია: მიეცეს ტფილისის სამაზრო ერობას კარდანახში წისქვილის მოსაწყობად 6 მილ. მან. სესხი. ეს თანხა ფინანსთა და ვაჭრობა - მრეწველობის სამინისტროს გასავლის ხარჯთ-აღრიცხვაში უნდა იქნეს შეტანილი.

◆ **პურის ღირსების გაუმჯობესება.** მუშათა მაგიდას აუწყებენ: პურის ღირსების გასაუმჯობესებლად მიღებულია სასწრაფო ზომები. შრომის მინისტრის ამხანაგმა და მუშათა მომარაგების რწმუნებულმა დაათვალიერეს ფურნეები. პურის გამოსაცხობად შეუკვეთეს ახალი „ფორმები", ვინაიდან ძველებში სიდიდის გამო პური კარგად ვერ ცხვებოდა. შეუკვეთეს აგრეთვე საცრები. იმედია, რომ პურის ღირსება ამ დღეებში გაუმჯობესდება.

◆ **გადასახადი მოწმობაზე.** მთავრობამ მოიწონა შინაგან საქმეთა სამინისტროს პროექტი საზღვარ-გარედ გასასვლელ პასპორტზე 750 მანეთის გადასახადის დაწესების შესახებ. აქედან 500 მანეთი ხაზინას დარჩება და 250 მანეთი წითელ ჯვრის საზოგადოებას გადაეცემა. შინაგან საქმეთა სამინისტროს წინადადება მიეცა დაამზადოს საზღვარგარედ გასასვლელი პასპორტები ამ საქმისათვის გადაიდვა 40 ათასი მანეთი.

◆ **დანიშვნა.** ნიოლალევის რაიონის გამომძიებელი ს. მესხი ქუთაისის სოლქო სასამართლოს პროკურორის ამხანაგად დაინიშნა.

◆ **ღვინო.** მეღვინეობა-მევენახეობის საზოგადოების თაოსნობით მოხდა თათბირი ღვინის ღირსების გაუმჯობესების შესახებ მოსალაპარაკებლად. გადასწყვიტეს სთხოვონ მთავრობას ამ მიზნისათვის სესხი,

◆ **დამფ. კრების ხელოვნების კომისიამ** მიიღო გელათის მონასტრის არქიმანდრიტის შუამდგომლობა ჩამორთმეულ მიწების ან უკან დაბრუნების, ან შემოსავლის სხვა წყაროს აღმოჩენის შესახებ.

◆ **მისალმება.** მიწად-მოქმედების სამინისტრომ მევენახეთა და მეღვინეთა ყრილობისაგან მიიღო მისალმების დეპეშა.

◆ **ცეცხლი.** გუშინ, დაახლოვებით დილის 6 საათზე პუშკინის ქ. № 3 ცეცხლი გაუჩნდა ქალაქთა კავშირის ბინის სახურავს. დაიწვა სახურავის ნაწილი და აივანი ეზოს მხარეზე. ოთახები ცეცხლისაგან არ დაზიანებულა. ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტის საქმეები და ავეჯი დროზედ გამოიტანეს და გადარჩა. ცეცხლის გაჩენის მიზეზი ჯერ გამოურკვეველი არ არის.

◆ **შარიამ ვლადიმერის** ასულმა გედევანიშვილისამ სამხედრო სამინისტროს კულტურა-განათლების სექციას გადასცა ა/წ. 16 აგვისტოს მანგლისში ამავე სექციის სასარგებლოთ გამართულ წარმოდგენაზე შემოსული ფული 4225 მან. რისთვისაც სექცია ჯარის-კაცთა სახელით უღრმეს მადლობას უძღვნის.

პროვინციის ქრონიკა

გორში. კვირას, 5 ენკენისთვეს, გორის სამაზრო სოც.-დემ. პარტიის კომიტეტის ბიუროს ბინაზე, დილის 10 საათიდან დანიშნულია გორის სამაზრო ს. დ. კომიტეტის წევრთა კრება. კითხვები მეტად სერიოზულია და ამიტომ ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა კომიტეტის ბიურო.

ხოფ. მცხეთაში დუშეთის სამაზრო ერობამ დაამთავრა 3 ფილიანი წისქვილის მოწყობას; ღებულობს შეკვეთებს რომლებსაც ასრულებს დროზე, ფქვავს საუკეთესოთ და ხელმისაწვდენ ფასებში.

ქართული ბონების კურსის განმტკიცება

აგვისტოს 31 სხდომაზე მთავრობამ სახელმწიფო ბანკის გამგეობის მიერ ქართული ბონების კურსის განმტკიცების საკითხის შესახებ წარდგენილი მოხსენება განიხილა. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ქვეყნის ფინანსიური მდგომარეობა და ვალიუტის საკითხი სახელმწიფო ბანკის სერიოზულ ყურადღებას იპყრობსო. საზღვარ გარეთის ვალიუტის კურსის გაზრდას რესპუბლიკის სასოფლო სამეურნეო ცხოვრებისათვის მძიმე შედეგები მოაქვს. სტოვებს რა განზე გარეშე, საერთაშორისო პირობებს, სახელმწიფო ბანკის გამგეობა ჩერდება იმ ზომების მიღების აუცილებლობაზე, რომლებიც უნდა განხორციელდეს ცხოვრებაში ჩვენი კურსის ცვალებადობის შესასუსტებლად. ზოგიერთი ზომა დაუყონებლივ უნდა იქმნას განხორციელებული, სხვები კი ჯერ-ჯერობით დამუშავებას მოითხოვს. ზემო აღნიშნულ მიზნების მისაღწევად სახელმწიფო ბანკის გამგეობა წინადადებას იძლევა: 1) შესაძლებელი ზომები იქნეს მიღებული სახელმწიფო ბიუჯეტში წონასწორობის დასამყარებლად, 2) იქნეს მიღებული ზომები სავალიუტო ფონდის შესაქმნელად, რაც სახელმწიფოს საზღვარ გარეთთან ოპერაციების თავის ანგარიშზე წარმოების საშუალებას მისცემს, 3) იქნეს მიღებული ზომები სავაჭრო ბალანსის ზოგიერთ ელემენტების გასაუმჯობესებლად, მათ შორის: ა) უცხო კაპიტალის შემოსაყვანად უნდა შეიქმნეს შესაფერი პირობები, ბ) უნდა გაუმჯობესდეს ტრანსპორტი, გ) უნდა გაძლიერდეს სავაჭრო და საკრედიტო არბიტრაჟი დ) სახელმწიფო გადასახადი და აგრეთვე ნედლი მასალის და საქონლისათვის კუთვნილი ფული ქართული ბონებით უნდა იქნეს გადახდილი; 4) გატანა, ან გადაგზავნა ვალიუტისა საზღვარ გარედ, თუ მას სავაჭრო მიზანი არა აქვს, განსაზღვრულ ნორმის ზევით მხოლოდ საგანგებო ნებართვით უნდა ხდებოდეს. ამ ზომის მიზანია კაპიტალის საზღვარ გარეთ ემიგრაციისათვის ხელის შეშლა. გარდა ამისა, სავაჭრო ბალანსის და საგარეო ვაჭრობის მოსაწესრიგებლად სახელმწიფო ბანკის გამგეობა წინადადებას იძლევა: ა) დაწესდეს წარმოებელთათვის მტკიცე უფლებრივი ნორმები ბ) აიკრძალოს ფუფუნების საგნების შემოტანა, გ) შემსუბუქონ საკუთარ წარმოების ნაყოფთა საზღვარ გარეთ გატანის პირობები იმ აუცილებელ პირობით, რომ გატანილ საქონელში სახელმწიფოს სწორი ეკვივალენტი დაუბრუნდეს. ტეხნიკურად მოწესრიგება უცხოეთის სავაჭრო დამოკიდებულებისა საგანგებო დაწესებულების საშუალებით უფრო ადვილად განხორციელდება. ამ დაწესებულების კონტროლს სახელმწიფო ბანკი გაუწევს. თავის მოხსენებაში სახელმწიფო ბანკი წინადადებას იძლევა რესპუბლიკის ფულის ნიშნებად იქნეს ცნობილი მხოლოდ ამიერ-კავკასიის და საქართველოს ბონები და განისაზღვროს იმ საკრედიტო და სხ. დაწესებულებათა რიცხვი, რომლებსაც სავალიუტო ოპერაციის წარმოების უფლება ექნება. ამ ოპერაციებს კონტროლს სახელმწიფო გაუწევს. ასეთი გზით შეიძლება ჯანსაღ ოპერაციების მოწესრიგება და ბონის კურსზე და საქონლის ფასზე გავლენის მოხდენა. ამ პროექტის განხილვის შემდეგ მთავრობამ დაადგინა: მისი მიღება ცოტაოდენი დამატებით. (ს. დ. ს.)

ტფილისის რკინის გზელში და სამტრედიის ამბები

რკინის გზელთა ცენტრალურ კავშირის გამგეობას და ყველა რაიონულ გამგეობებს დაეგზავნა შემდეგი საპროტესტო რეზოლიუცია:

კავშირის მე-7 რაიონულმა გამგეობამ მოისმინა რა რკინ. გზელთა ცენტრალურ გამგეობის მოწოდება, რომელშიაც აღნიშნულია, რომ უმნიშვნელო ჯგუფი სამტრედიაში ეწევა აგიტაციას კავშირის ორგანოების წინააღმდეგ და ფარულად მოუწოდებს მუშა-მოსამსახურეებს გაფიცვისაკენ—დაადგინეს: დაუჭიროს მხარი ცენტრალური გამგეობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს და იმ მიზეზებსაც, რომელიც მომავალში იქნება მიღებული დეზორგანიზატორების ასალაგმავად და კავშირის მთლიანობის დასაცავად.

გამგეობას სწამს, რომ დეზორგანიზატორების ერთი ჯგუფის აგიტაცია ჩვენი კავშირის წევრებში გამოიწვევს მხოლოდ ზიზღს მათ მიმართ და სასტიკად დაგმობს ყველა სამტრედიის ერთი ჯგუფის ანარქიულ გამოსვლას.

მე-7 რაიონულ გამგეობის თავმჯდომარე **მეგრელიშვილი.**

მდივანი **გაჩეჩილაძე.**

საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი ჟენევაში.

2 აგვისტოს სხდომა.

კვირას კომისიების სხდომები გაიმართა. პლენუმის სხდომა მხოლოდ დღის განახლდა ბევრ ლაპარაკს იწვევს სამანდატო კომისიის დადგენილება საფრანგეთის დელეგაციის განდევნის შესახებ. ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ საფრანგეთის არც ერთი სოციალისტური პარტია არ არის წარმოდგენილი. არც რუსეთის სოციალისტური პარტიაა წარმოდგენილი, როგორც ეს მისი დეკლარაციიდან სჩანს; ამნაირად მეორე ინტერნაციონალი მხოლოდ ინგლისელების და გერმანელებისგან შესდგება—ეს ნამდვილი ინტერნაციონალისთვის საკმაო არ არის. სენას დეპუტატი აბრიო, დისიდენტების პარტიის წევრი, რომელსაც კონგრესიდან გარიცხვა მოელის, აცხადებს, რომ ასეთ ზომას მხოლოდ ერთი მიზანი აქვს—აიცილონ თავიდან ერთი საკითხი—ომის პასუხისმგებლობის. აბრიო აღნიშნავს, რომ სტრასბურგის კონგრესის დადგენილებით მისი ფრაქციის პარტიიდან გამორიცხვამ, როგორც მას, ისე მის მეგობრებს საშუალება წაართვა მეორე ინტერნაციონალთან თანამშრომლობისა, რომელსაც ისინი ეხლა მიმართავენ.

საფრანგეთის გაერთიანებული პარტია თვით ჩამოშორდა მეორე ინტერნაციონაციონალს. პარტიას არ შეუძლია აბრიოს, როზიოს და სხ. განდევნა, რომლებიც მეორე ინტერნაციონალში დარჩნენ.

როზიე ომის პასუხისმგებლობის კომისიის წინაშე იცავს იმ აზრს, რომ ომის გამოწვევის ბრალი გერმანიას ედება, ხოლო გერმანიის სოც.-დემოკრატია მონაწილეობას იღებდა მასში.

გერმანიის დელეგატმა ბრანდმა აღიარა, რომ ელზას ლორენის საკითხი აღარ ისმება და პასუხისმგებლმა გერმანიამ უნდა შეასრულოს საფრანგეთის და ბელგიის კანონიერი და სამართლიანი მოთხოვნილებანი. ის არ იზიარებდა მხოლოდ ზოგიერთ დეტალს. როზიეს მცირე პასუხის შემდეგ კომისია ღებულობს როზიეს მიერ წარმოდგენილ რეზოლიუციას:

გერმანელები აღიარებენ: 1) რომ 1871 წ. ელზას-ლორენის შემოერთებით ბისმარკის გერმანიამ შეცდომა ჩაიდინა და რომ დღეიდან გერმანელებისთვის აღარ არსებობს ელზას ლორენის საკითხი;

2) რომ 1914 წ. იმპერატორის გერმანიამ დანაშაული ჩაიდინა ხალხთა უფლებების წინაშე ბელგიის ნეიტრალიტეტის დარღვევის გამო.

3) რომ რესპუბლიკანური გერმანია აღიარებს, რომ ის მოვალეა აღადგინოს იმპერიალისტურ გერმანიის თავდასხმის გამო ომით მოხდენილი დანგრევა.

ეს რეზოლიუცია კომისიის წევრებმა ერთხმად მიიღეს, მაგრამ გერმანიის წარმომადგენლებმა ბრანდმა და გიუემ, რომლებმაც რეზოლიუციის წინააღმდეგ მისცეს ხმა, განაცხადეს, რომ ისინი საკუთრივ თავისი სახელით აძლევდნენ ხმას და რომ ამის შესახებ შეიდემანს და სხვა ამხანაგებს უნდა მოელაპარაკნენ, როცა ისინი ჩამოვლენ.

კონგრესზე იყვნენ სხვათა შორის: ინდოეთის დელეგაციის თავმჯდომარე მაჰოუდ ალი, რომელმაც განაცხადა, რომ ის დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგია. მოელიან: შეიდემანს და ალბათ ჩამოვლენ კარლ კაუცკი, ვანდერველდე და ანზელი ვენსკ—ბუდაპეშტიდან და უნგრეთის ყოფილ პრემიერ პრიეიერი და სხ.

ორშაბათს დილის სხდომას ტომას შაუ თავმჯდომარეობდა. უკვე ჩამოვიდნენ გიუსმანსი, ვლიბენი, შეიდემანი, მიულერი და ვანდერველდე.

რენოდელმა ადგილი დაიკავა პრესის წარმომადგენელთან მაგიდასთან „იუმანიტე"-ს სხვა რედაქტორებთან ერთად.

შეუდგნენ მანდატების განხილვას. ისმება საკითხი საფრანგეთის დელეგაციის დაშვების შესახებ.

კომისიამ საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით თითქმის ერთხმად დაადგინა საფრანგეთის ახალი სოციალისტური პარტიის წარმომადგენლები არ დაუშვას კონგრესზე როგორც სრულ უფლებიანი დელეგატები. ამას მომხსენებელი მორისონი (ინგლისი) შემდეგნაირად ასაბუთებს: კომისია სავსებით არ არის დარწმუნებული, რომ ახალ პარტიას საკმაოდ მტკიცე ორგანიზაცია აქვს და განსაკუთრებით არა სურს კიდევ აწყენინოს გაერთიანებულ სოციალისტურ პარტიას.

ფინანსიურ-ეკონომიური თათბირი

1 სექტემბერს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **გრ. ლორთქიფანიძის** თავმჯდომარეობით შესდგა თათბირი ფინანსიურ-ეკონომიური საკითხების შესახებ. თათბირს დაესწრნენ: დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წევრები, მთავრობის წევრები, დამფ. კრების ფრაქციათა წარმომადგენელნი, ქალაქთა და ერო-კავშირის, სახელმწიფო ბანკის და კოოპერატივთა წარმომადგენელნი. იყვნენ აგრეთვე დაინტერესებულნი პირნიც.

ჩვენი ფინანსიურ-ეკონომიური მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხანაგმა ს. ავალიანმა, რომელმაც მოკლედ დახასიათა ევროპის სახელმწიფოების დღევანდელი ეკონომიურ-ფინანსიური მდგომარეობა, ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საერთაშორისო პირობების გამო ევროპის დიდი და წინეთ კარგათ მოწყობილ სახელმწიფოებს დღეს პასიური სავაჭრო ბალანსი აქვთ: მეტი შეაქვთ, ვინემ გააქვთ. მომხსენებელმა საქართველოს მდგომარეობა დაუკავშირა საერთაშორისო ეკონომიურ-ფინანსიურ მდგომარეობას და დაასკვნა, რომ ჩვენი ეკონომიკა განიცდის დიდ გავლენას საერთაშორისო ეკონომიური არევ-დარევისა და აფორიაქებისა. შემდეგ მომხსენებელი შეეხო ჩვენს სავაჭრო ბალანს და აღნიშნა, რომ ის მეტად არა ხელსაყრელია და დეფიციტიანი. ჩვენ გაცილებით მეტი შემოგვაქვს, ვინემ გაგვაქვს. ეს იწვევს უცხო ვალიუტის გაძვირებას და ჩვენი ფულის კურსის დაცემას, უკანასკნელი გარემოება კი სიძვირეს აძლიერებს. საჭიროა მთელი რიგი ეკონომიურ-ფინანსიური ღონისძიებათა ამ ჟამად კი სასწრაფო ზომები უნდა იქნას მიღებული სპეკულიაციის წინააღმდეგ ჩვენი სავაჭრო ბალანსის გამოსაკეთებლად. ამისთვის საჭიროა: მოწესრიგებულ იქნეს იმპორტი; უნდა შევამციროთ ჩვენში უცხოეთიდან საქონლის შემოტანა. ამ მხრივ მთავრობამ უკვე გადადგა სათანადო ნაბიჯი ფუფუნების საგნების შემოტანის აკრძალვის სახით. გარდა ამისა აუცილებლათ საჭიროა ექსპორტის გაძლიერება. ჩვენ ვცდილობდით ექსპორტის საქმის მოწესრიგებას, მაგრამ ამაში ხელს გვიშლიდა და ახლაც გვიშლის ტრანსპორტის უქონლობა. ჩვენ უნდა ვეცადოთ მეტი საექსპორტო საქონელი დავამუშაოთ, დავამზადოთ. ამ მხრივ სახელმწიფოს ორგანოებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს საზოგადოებრივ ორგანიზაციების უნარიანობას, მოქმედებას. საქონლის დამზადების საქმეში. იმპორტის და ექსპორტის მოწესრიგება მარტო ვერ გამოაკეთებს ჩვენს ეკონომიურ მდგომარეობას და საგრძნობლად ვერ შეახელებს სიძვირეს. უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს შინაური მრეწველობის და წარმოების განვითარებას. შესაძლებელი იყო კერძო კაპიტალის მოპატიჟება და ამით წარმოების გაღვივება, მაგრამ დღეს დღეობით პოლიტიკურ თუ სხვა მიზეზებისა გამო კერძო კაპიტალის შემოსვლის იმედი მცირეა და ამიტომ უმთავრესად შინაურ ძალებზე უნდა დავეყრდნოთ. საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს აქაც საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, გაეწიოს მათ ნივთიერი დახმარებაც და მათი უნარიანობა, საქმიანობა სავსებით გამოყენებულ იქნას მრეწველობა—წარმოების განვითარებისათვის.

გარდა ამისა, საჭიროა სპეკულიაციის წინააღმდეგ სასტიკი ზომების მიღება. მთელი ყიდვა-გაყიდვა უცხო ვალიუტისა უნდა იქნას სახელმწიფო ბანკის ხელში. ჩვენმა სახელმწიფო ბანკმა უნდა შექმნას კავშირი ევროპის ყველა ბანკებთან. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ზომები სრულებით არ ნიშნავს კერძო კაპიტალის, ინიციატივის შეზღუდვას. პირიქით, ჩვენ კერძო კაპიტალს, თუ კი ის წარმოებას ხელს მოჰკიდებს, დავეხმარებით ყოველმხრივ. სახელმწიფოს ამ სამეურნეო მუშაობასთან გზადაგზა კერძო კაპიტალსაც შეუძლია იმუშაოს. დასასრულ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ჩამოთვლილი ზომებით შეიძლება ეკონომიური მდგომარეობის გამოკეთება, მაგრამ ეს არც ისე მალე მოხდება, როგორც სასურველია, საჭიროა ხანგრძლივი მუშაობა, რომ სათანადო ნაყოფს მივაღწიოთ, პალიატივები კი, რომელსაც ჩვენ მივმართავთ ხოლმე, შეანელებენ სიძვირეს. უმთავრესი და ხანგრძლივი მუშაობა უნდა ვაწარმოვოთ წარმოების, მრეწველობის განსავითარებლად.

ფანიევი. მთავრობამ უნდა მიიღოს ზომები უცხო ვალიუტის გასაიაფებლად და ჩვენი ფულის კურსის ასაწევად. ამისათვის საჭიროა მთელი რიგი ზომების მიღება. ორატორის საჭიროდ მიაჩნია 1) სპეკულიაციის წინააღმდეგ ადმინისტრატიული ზომების მიღება. 2) შემოტანილ უნდა იქნას ის, რაც აუცილებლათ საჭიროა, სხვა საქონლის შემოტანა უნდა აკრძალულ იქნას. გამოცხადდეს სია იმ საქონლისა, რის შემოტანა-გატანა შეიძლება. დანარჩენი აკრძალულ უნდა იქნას. 3) ის საქონელი, რომელიც ჩვენი რესპუბლიკიდან გაგვაქვს, გაყიდულ უნდა იქნას არა უცხო ფულებზე, არამედ საქართველოს ბონებზე—ეს აწევს ჩვენი ფულის კურსს. 4) სახელმწიფო ბანკმა უნდა მიიღოს მთელი რიგი ეკონომიურ-ფინანსიური ღონისძიებანი და გახდეს რეგულიატორი უცხო ვალიუტისა. 5) საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მეტი ყურადღება და უფლებები უნდა მიეცეს. 5) უცხოეთიდან კაპიტალის მოსაზიდათ საჭიროა მთელი რიგი შეღავათიანი პირობების გამომუშავება, რომ ის წაქეზებულ იქნას და ჩვენში შემოვიდეს.

მ. რუსია. აღნიშნავს, რომ ყველა ის დებულებები, რომელიც წამოაყენა მომხსენებელმა ავალიანმა, გამოხატულია დამფუძნებელი კრების მიერ ბიუჯეტის შესახებ მიღებულ ფორმულაში და სავსებით მისაღებია. ორატორის აზრით 1) სახელმწიფო უნდა ჩაუდგეს სათავეში მეურნეობას და უმთავრესი ყურადღება მიაქციოს ჩვენი ხალხისათვის პირველ საჭიროების საგნების დამზადებას, შექმნას. პირველ ყოვლისა ისე უნდა მოეწყოს საქმე, რომ ჩვენ პური გვყავს. დღეს საქართველოში აგარაკებში და სხვაგან ათეული ათასობით სცხოვრობენ ისეთი ხალხი, რომელიც არავითარი კავშირი არა აქვს საქართველოსთან და რომელნიც ამ ორი წლის წინეთ აქ არ სცხოვრობდენ. საჭიროა მიღებულ იქნას ზომები ამის შესახებ. 2) სახელმწიფომ უნდა მოაწყოს უბრალო მანუფაქტურული წარმოება მაინც, რომ ჩვენი ხალხის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება შესაძლებელი იყოს. ამ შემთხვევაში სახელმწიფო უნდა დაეყრდნოს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. დასასრულ ორატორი აუცილებელ საჭიროთ აღიარებს მთავრობის ორგანიზაციების და თვითმართველობათა გაერთიანებულ შეთანხმებულ მუშაობას.

ირ. რამიშვილი. მოითხოვს სასტიკი ზომების მიღებას მექრთამეობის და სპეკულიაციის წინააღმდეგ. მისი აზრით საჭიროა სახელმწიფოებრივი კონტროლის გაძლიერება ყველა დარგში და ზომების მიღება, რომ საქართველოს თავისი პური ჰყოს.

ალ. ახათიანი პრინციპიალურად აყენებს საკითხს კერძო და საზოგადოებრივ ინიციატივის შესახებ და ამბობს: ევროპის სახელმწიფოებში კერძო ინიციატივას სათანადო ადგილი აქვს დათმობილი და ამიტომაც არის, რომ იქ ეკონომიური მდგომარეობა, რომელიც ომიანობის ხანაში ძლიერ შერყეული იყო, თანდათან უკეთდება. ჩვენში კი საზოგადოებრივ ორგანიზაციებს დიდი ასპარეზი აქვთ გახსნილი და ამის შედეგათ მივიღეთ ის მწვავე ეკონომიური კრიზისი, რომელიც დღეს ჩვენში არის. ინგლისში, საფრანგეთში საქმე უკეთესდება, ჩვენში კი უარესდება.

საერთოდ საზოგადოებრივ მეურნეობას დიდი დეფექტები აქვს. როდესაც კერძო პირი ჰყიდის საქონელს უცხოეთში, ის ცდილობს, რაც შეიძლება მეტი აიღოს, მართალია ეს მისი ჯიბისთვის უნდა, მაგრამ სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით სახელმწიფოსათვის მისაგებია. საზოგადოებრივი ორგანიზაციები იძულებული არიან ვინმე რწმუნებულის საშუალებით გაყიდონ. რწმუნებული არასოდეს ისე არ არის გაყიდვაში დაინტერესებული, როგორც კერძო პირი და შესაძლებელია ბოროტმოქმედებასაც ადგილი ექნეს. ორატორის აზრით საჭიროა ძირითადი ეკონომიური ხაზის გადასინჯვა და დღევანდელი ეკონომიური პოლიტიკის რადიკალური შეცვლა.

გრ. გიორგაძე აღნიშნავს, რომ მომხსენებლის მიერ წამოყენებული დებულებები ახალს არაფერს შეიცავენ. ეს ზომები დიდი ხანია, რაც ცხოვრებაში თანდათან ტარდება. და თუ რაიმე ნაკლია, ეს ის რომ, რომ ჩამოთვლილი ზომები სავსებით არ ტარდება. ორატორი ეკამათება ახათიანს და ამბობს, რომ საწარმოვო კერძო კაპიტალი არავის არ შეუზღუდავს. თუ რომელიმე კერძო კაპიტალი ხელს მოჰკიდებს მანუფაქტურულ ან სხვა რაიმე წარმოებას, ჩვენ დიდის სიამოვნებით დავეხმარებით მას, მაგრამ სამწუხაროთ, ამას ვერ ვხედავთ. კერძო კაპიტალი წარმოებას ვერ ჰკიდებს ხელს სახელმწიფოსათვის კი აუცილებლათ საჭიროა შრომა, წარმოება. ამიტომ უნდა ვეძიოთ ისეთი ძალა, რომელიც წარმოებას ხელს მოჰკიდებს. ასეთია საზოგადოებრივი ორგანიზაციები. შეიძლება მათ პირველად შეცდომები დაუშვან, მაგრამ შემდეგში გამოასწორებენ და ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებას წინ წასწევენ.

სახელმწიფო თვითმართველობის ორგანოებთან ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებული უნდა იაროს და თუ კერძო კაპიტალი წარმოებას მოჰკიდებს ხელს, მასაც დაეხმაროს.

ორატორი დიდ იმედებს ამყარებს მარგანეცის ნაციონალიზაციაზე და გამოსთქვამს სურვილს, რომ მთავრობამ პრაქტიკულად ჯეროვნად ჩაატაროს ეს ნაციონალიზაცია. მისი აზრით მთავრობამ უნდა იკისროს მარგანეცის დამუშავება და გატანა. საჭიროა მარგანეცის ოპერაციაზე დიდი ყურადღების მიქცევა და ნაციონალიზაციის პრაქტიკულად მალე გატარება. დასასრულ ორატორი, როგორც დამფუძნებელი კრების საფინანსო კომისიის წევრი, აცხადებს, რომ კომისია მთელი თავისი შემადგენლობით ხელს შეუწყობს მომხსენებლის მიერ წამოყენებულ თეზისების ცხოვრებაში გატარებას.

ფილიპევმა აღნიშნა, რომ საჭიროა მთავრობის და თვითმართველობის ორგანოების შეთანხმებული მუშაობა. საჭიროა ყოველგვარი საქონლის თავის დროზე ყიდვა-გაყიდვა. ამ მხრით სახელმწიფოს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს დახმარება უნდა აღმოუჩინოს. ორატორის აზრით, თუ დროზე იქნა საჭირო ზომები მიღებული, შესაძლებელია ფასების მწვევის შეჩერება.

მ. ცეკვაშვილი ანალიზს უკეთებს დღევანდელ სიძვირეს და აღნიშნავს, რომ ევროპის მრეწველობა დღეს კრიზისს განიცდის, მისი ნედლეულობის მოთხოვნილება შემცირდა, ამიტომ ჩვენი ნედლეულობა ბაზარს ვერ პოულობს. ჩვენს კატასტროფიულ მდგომარეობას ზედ დაერთო აძერბეიჯანის და სპარსეთის ბაზრის მოშლა და ამ გარემოებამ ძლიერ იმოქმედა ჩვენს ეკონომიურ მდგომარეობაზე. ორატორის აზრით ჩვენი საქონელი უნდა გაიყიდოს ჩვენს ფულებზე, საბანკო კანტორების დაკეტვა, როგორც პალიატივი კარგია, მაგრამ ვშიშობ, რომ სახელმწიფო ბანკმა ვერ შესძლოს ყველა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. მისი აზრით აუცილებლათ საჭიროა საფონდო ბირჟების დაარსება.

(დასასრული იქნება).

ვერ დაასახელა?!..

„ერთობამ" ვერც ერთი მუშა, ვერც ერთი გლეხი ვერ დაასახელა, რომ საბჭოთა რეჟიმს, იქაურ დევნას და შევიწროვებას გამოექცეოდეს"...

„კომუნისტი" № 26.

გაზ. „კომუნისტის" ასეთი რიხიანი განცხადება შეიძლება აიხსნათ ორი გარემოებით: ან ამ გაზეთის მეპრეს განზრახ თხზავს სიყალბეს და ან სამი წლის განმავლობაში ვერ გაეცნო თავის ამხანაგების საქმიანობას.

მაგალითად, ზევით მოყვანილ ამონაწერზედ შეიძლებოდა მოკლეთ პასუხის გაცემა: აძლევთ კი რომელიმე მუშას გაქცევის საშუალებას თქვენი სამეფოდან თქვენი დეკრეტების ძალით თუ არა? (სახეში მაქვს აძერბეიჯანის საბჭოთა რესპუბლიკა) როგორც სჩანს, კომუნისტურ აძერბეიჯანს ისეთი სალტით შეუზღუდავს თავისი საზღვრები, რომ საზღვრის გარეშე მყოფ კომუნისტებსაც უსპობს საშუალებას გაეცნოს იქაურ მდგომარეობას, თორემ გაზ. „კომუნისტსაც" კი შერცხვებოდა ასეთი აბდაუბდის დაწერა!.. აძერბეიჯანში გამოცემულ დეკრეტის ძალით საზღვრებიდან გასვლის უფლება აქვთ მხოლოდ ექიმებს (უკანასკნელი სტადია) და პარტახტიან სახადით ნაავადმყოფართ. ამისთვისაც საჭიროა პროფესიონალურ კავშირიდან ნებართვა და ექიმთა კომისიის მოწმობა. ამ კომისიაში ბალახანა—საბუნჩის რაიონში შედიოდნენ: დოსტაქარი ევოიანი და თვალის ექიმი კიკოევიჩი.

ამას თავი დავანებოთ. არ შეიძლება შევეკითხოთ ბ-ნ კომუნისტებს, თუ რამ გამოიწვია უკანასკნელი დეკრეტი, რომელიც სპარსელ შავ მუშებს შეეხებოდა? ნუ თუ ის არ იყო მისი მიზეზი, რომ ისინი (სპარსელები) ვერ უძლებდნენ ხაბპოთა რეჟიმს და ღამ ღამობით ჩუმათ ქვეითად გარბოდნენ „წითელ" აძერბეიჯანიდან! შემოიღეთ თუ არა ბაქოში მუშებისათვის ყაზარმული დისციპლინა, პოლიციური სისტემა და სხვა მშვენიერებანი?

საინტერესოა ვიცოდეთ, მოგდით თქვენ თუ არა ბაქოს „კომუნისტი" და თუ ღებულობთ დაგვდევით პატივი და ზოგჯერ გამოაქვეყნეთ იქ მოთავსებული დეკრეტები და წერილები. მაგალითად, ჩვენთვის სასიამოვნო იქნებოდა გამოგექვეყნებიათ ივლისის ერთერთ ნომერში მოთავსებული მოწინავე წერილი: „Начнем съ самихъ себя". ამ მოწინავეში იყო თუ არა შემდეგი სტრიქონები: „ჩვენს მართვა-გამგეობაში სრული ბიუროკრატიზმის სული ტრიალებს. საქმეების წარმოებაში საშინელი კანცელიარშჩინაა გამეფებული, რომ თანამშრომლები საათობით საკუთარ საქმეს კვირეებს ანდომებენ, რითაც უკმაყოფილებას იწვევენ მცხოვრებლებში და სხვა".

ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ აუცილებლათ უნდა წაგვეკითხოთ მეორე წერილიც (ისიც ორი დღით ადრე თუ გვიან დაიბეჭდა) შემდეგი სათაურით: „К порядку", რომელიც კომისრების განცხრომით ცხოვრებას შეეხებოდა; ან და პროვინციელი კორესპონდენტის წერილი, სადაც მუხლ მოდრეკით იხვეწებოდა: „ნუ გვაყრით სეტყვასავით ამ დეკრეტებს, შემსრულებელი არავინ არის, რევკომებშიც ხელის მომწერის არ მცოდნე პირები სხედან და ნუ გვემუქრებით რევოლიუციონური ტრიბუნალითო"... როგორც სჩანს, თვით აძერბეიჯანის კომუნისტური მთავრობა თავისი ოფიციალურ ორგანოში, სარედაქციო წერილში იწუნებს თავისი მართვა-გამგეობის სისტემას,—რეჟიმს, მაშ, შეეძლო თუ არა ეს რეჟიმი მოსწონებოდა ბაქოელ მუშებს! და რომ ეს რეჟიმი მათ (მუშებს) არ მოსწონდათ და ნება რომ ქონოდათ, სიამოვნებით გაიქცეოდნენ აქედან, ამის მოწმად მე თითონ გახლდით 9 ივლისის მიტინგზე საბუნჩაში (რომლის შესახებ „ერთობაში" იყო წერილი) სადაც მთელი მიტინგის პროტესტმა თავზარი დასცა ვიქტორ ნანეიშვილს.

არ შეიძლება გავიგოთ, ბაქოში და მის რაიონებში სამარცხვინო საინკვიზიციო ფურცლები რომ დარიგდა, სადაც სხვა პუნქტთა შორის იყო შემდეგიც: „რომელ პარტიის ეკუთვნი, რომელ პასუხისმგებელ კომუნისტს იცნობ და რომელი პასუხისმგებელი კომუნისტი აგებს პასუხს შენს პატიოსნებაზე. (кто из ответственных комунистов ручается за твою честность),—ეს უკანასკნელი შეკითხვა შეგნებულ მუშებს მხრით გამოიწვევდა ზიზღს თუ არა?

თქვენ ხომ ევროპის კოლონიალურ

პოლიტიკას ებრძვით, მაგრამ ერთ-ერთ მიტინგზედ (საბუნჩში) მიკოიანმა სთქვა თუ არა, რომ საქართველო და სომხეთი იმდენათ არ გვაინტერესებდა, რამდენათაც ბაქო, ვინაიდან გამოშვლებულ და დამშეულ რუსეთს სათბობი მასალა ისე ესაჭიროებოდა, როგორც ჰაერი და ამისთვის ჩვენ არ ვერიდებოდით არავითარ ხარჯს და რამდენიმე მილიონი მან. მივიღეთ რუსეთიდან (ასტრახანიდან ნავებით). მაგრამ,—დასძინა მიკოიანმა, რადგანაც აქ შემოვდგით ფეხი, აწი საქართველოსაც და სომხეთსაც მალე ავიღებთ (უთუოდ მილიონები ჰქონდა სახეში) მხოლოდ ვწუხვართ, რომ საქართველოს მენშევიკებს აქვს საშუალება გავვექცენ ბათომში და დაშნაკლებს კი.. ჩვენ რომ გავვექცენ ირგვლივ შემორტყმული მუსულმანობა დაჰერის ყელებსო" (სიტყვა-სიტყვით მიკოიანის ნათქვამია: перережут горло).

ასეთია „საბჭოთა რეჟიმი"! და განა ამის შემდეგ უტიფრობა არ არის მტკიცება, რომ ამ რეჟიმს არ გაურბიანო?

ვ. ბ—ძე.

ქართველები საბჭოთა რუსეთში

სტავროპოლი. 25 აგვ. ადგილობრივ ქართველთა კულტურულ-განმანათლებელმა საზოგადოებამ მიიღო „რევკომის" განკარგულება, რათა მას შეეწყვიტა ყოველგვარი მოღვაწეობა. საზოგადოებას ამასთანავე წინადადება მისცეს: ბლანკი და ბეჭედი საზოგადოებისა გადაეცით „რევკომის" შინაგან მმართველობის განყოფილებასო. საზოგადოების წესდება არ შეიძლება დამტკიცდეს, ვინაიდან ის ეწინააღმდეგება საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის დებულებებსო. საზოგადოება, როგორც ასეთი, ვერ იარსებებს და მან განკარგულების მიღებისთანავე უნდა შესწყვიტოს თავისი არსებობა. ბლანკებისა და ბეჭდის გადაცემა უნდა ეწყოს საგუბერნიო რევკომსო. საზოგადოების გამგეობამ ამ საქმის გამო გუბერნიის „რევკომის" წინააღმდეგ საჩივარი აღძრა ჩრდილო კავკასიის საგანგებო კომისარ ბ-ნ მდივანთან, რომელმაც უპასუხა, რომ არამც და არამც არ შეიძლება საზოგადოების არსებობაო. ორჯონიკიძე რომ ჩამოვიდა, იმასაც მიმართეს, მაგრამ უშედეგოდ. ამის შემდეგ საზოგადოება დახურეს. (ლ-ს).

სოფლის მეურნეობისათვის

დამფუძნებელ კრების მიერ დამტკიცებული სასოფლო სამეურნეო განყოფილების გეგმის ცხოვრებაში გასატარებლათ მიწად-მოქმედების მინისტრმა გადაწყვიტა 1) თფილისის საშუალო ტეხნიკური სასწავლებელი გადააკეთოს საშუალო სასოფლო სამეურნეო სასწავლებლად. სასწავლებელში გახსნილი იქნება შემდეგი განყოფილებანი: მემინდვრეობის, მებაღეობის, მესაქონლეობის, ჰიდროტეხნიკური და სატყეო განყოფილება. 2) ყველა განყოფილების პირველ სპეციალურ კლასში სწავლა ახალ პროგრამით უნდა სწარმოებდეს, 3) პირველი განყოფილება მოსამზადებელ კლასისა უნდა დაიხუროს, 4) თფილისის მებოსტნეობის პრაქტიკული შკოლა სასწავლო დემონსტრატიულ მეცადინეობისათვის უნდა იქნეს გამოყენებული, 5) პირველ სპეციალურ კლასში მიიღებენ ორივე სქესის პირებს არა ნაკლებ 15 წლისას და არა უხნიერეს 18 წლისას. (პირველ სპეციალურ კლასში უმაღლეს პირველ დაწყებით განათლების მქონე პირებს მიიღებენ. ამ ჟამად მაცადინეობის გეგმა სწრაფად მუშავდება. გარდა ამისა, მიწათ მოქმედების სამინისტრომ გადასწყვიტა ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის საშუალო ტიპის სასწავლებლად გადაკეთება 2 განყოფილებით მემინდვრეობისა და მებაღეობის. სასწავლებელთან პანსიონის გახსნა არის განზრახული. პირველ კლასში მოწაფეთა რიცხვი 60 კაცს უდრის. შემდეგ გადაწყვეტილია წინამძღვარიანთ სასოფლო სამეურნეო სკოლის დაბალ სასოფლო სამეურნეო სასწავლებლად გადაკეთება. გადაწყვეტილია ლანჩხუთში ნოე ჟორდანიას სახელობის დაბალი სასოფლო სამეურნეო სკოლის გახსნა, აგრეთვე სკოლის გახსნა არის განზრახული სოხუმში. სასოფლო-სამეურნეო განყოფილების სასწრაფოდ განვითარების მიზნით გაიხსნება სხვადასხვა პრაქტიკული სკოლები იმ სახელმწიფო მამულებში, სადაც ეს შესაძლებელი იქნება. (დ. ს.).

ერობა და ქალაქი

ქუთაისი. აგვ. 31. ადგილობრივმა ერობამ სერიოზული ყურადღება მიაქცია გზების გაყვანას და შეკეთებას. ერობას ახალი შარა გზები არ გაუყვანია, მაგრამ არსებული შარა-გზები შეაკეთა. ააგეს ოთხი ახალი ხიდი. განზრახულია ახალი ხიდების აგება რიონსა და ცხენის წყალზე.

— წვრილი საერობო ერთეულები შეერთებულია ცენტრალურ ერობასთან ტელეფონით.

— მაზრაში სულ 44 თემია. თვითეულ თემში მცხოვრებთა რიცხვი 260—1800 უდრის. თემის ხმოსანთა რიცხვი 15—35 არის. თვითეულ თემს ჰყავს მილიციონერთა შტატი. მაზრაში სულ 166 მილიციონერია. მილიცია ენერგიულად მუშაობს. (სდს).

ს.-დ. პარტიაში

თფილისი 26 აგვისტოს შესდგა ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის სხდომა ამხ. მ. წულწულაძის თავმჯდომარეობით. კოლექტივმა მოისმინა მოხსენება თფილისის კომიტეტიდან.

განხილულ იქნა მუშაობა მიწის კომისიისა. გამოითქვა სურვილი, რომ ავლაბრის რაიონში, სახელდობრ, ბელაგორკისა და ლიანდაგს გადაღმა არსებული ჯგუფები შეერთდნენ და ისე დაიწყონ მუშაობა.

„ელდორის" ქარხნის მუშის თ. ხეჩიაშვილის შესახებ კოლექტივმა დაადგინა: ეცნოს ხეჩიაშვილს, რათა ის მოვიდეს პრეზიდიუმში და მისცეს განმარტება თავის დეზორგანიზატორული მოქმედების შესახებ.

სომხური სექციის საყურადღებოდ კოლექტივი ადგენს, რათა სექცია შეიკრიბოს სისტემატიურად, აწყოს რაიონში მოხსენებები და ყოველ მხრივ ხელი შეუწყოს 9 სექტემბერს განზრახულ საღამოს, რომლის შემოსავალი უნდა გადადებულ იქნეს სომხური გაზეთ „ბანვორი ძაინისთვის".

კოლექტივი ადასტურებს წამოყენებულ სიას იმ პირთა შესახებ, რომლებმაც სურვილი განაცხადეს სარეზერვო არმიაში ჩასაწერად.

ქვეკოლექტივის რეორგანიზაციას, რომელიც უნდა მოხდეს 28 აგვისტოს, დაესწროს ამხ. იოს. ბარამიშვილი, მ. სხულუხია და ოლ. ბაქრაძე.

ვერხვი.

გორი. 22 აგვისტოს, გორის სამაზრო ს. დ. კომიტეტის ბიუროს ბინაზე, მოხდა კრება გორის კომიტეტის წევრებისა და მოწინავე ამხანაგებისა, სადაც დაისვა საკითხი პარტიული მუშაობის გაძლიერების შესახებ. ამ მიზნით შექმნილ იქნა საპროპაგანდო კოლეგია 20 პირისაგან შემდგარი. ამ კოლეგიამ უკვე რამდენიმე სხდომა გამართა; აირჩია პრეზიდიუმი და გამოიმუშავა მუშაობის გეგმა. კოლეგიამ მიმართა სამაზრო კომიტეტს და გორის კომიტეტს, რომ მათ შეგნების საფეხურების მიხედვით დაყონ პარტიის წევრები წრეებათ და შემდეგ წარმოუდგინონ კოლეგიას, რომ ამ უკანასკნელმა თავისი წევრები დაანაწილოს წრეებს შორის ლექციების წასაკითხავათ და პოლიტიკურ თემებზე საუბრების გასამართავად. კოლეგიის პრეზიდიუმში არჩეულია, კლიმიაშვილი, ეფრემიძე და გაჩეჩილაძე. დადგენილ იქნა აგრეთვე მიღებულ იქნეს ყოველგვარი ზომა პარტიული ლიტერატურის შესაძენათ.

მეჯვრისხევი. (გორის მაზრა) 28 აგვისტოს მოწვეულ იქნა ადგილობრივ სათემოს ორგანიზაციების ს.-დემ. მუშათა პარტიის წევრების საერთო კრება, რომელსაც თავმჯდომარეობდა შაქრო ჯავახიშვილი, მდივნობდა ვანო მთიულიშვილი. სხდომას დაესწრო წევრთა დიდი უმრავლესობა. მოხსენება გააკეთა მ. კლიმიაშვილმა მეორე პარტიული ყრილობის მუშაობის შესახებ და პროპაგ. ვათაძემ ორგანიზაციული მოწყობა პარტიისა სათემოს ფარგლებში.

ყრილობის მომხსენებელმა კლიმიაშვილმა დაწვრილებით გააცნო კრებას ყველა საკითხებზე გამოტანილი დებულებები და რეზოლიუციები ყრილობისა. კრებამ დიდის ყურადღებით მოუსმინა მას. შემდეგ გამოტანილ იქნა რეზოლიუცია; მოისმინა რა მოხსენება ამხ. მ. კლიმიაშვილისა საქართველოს ს. დ. პარტიის მეორე ყრილობის მუშაობის შესახებ, მეჯვრისხევის თემის ორგანიზაციების ს. დ. პარტიის საერთო კრება დიდი სიხარულით აღნიშნავს ყრილობის ნაყოფიერ მუშაობას, სავსებით იწონებს მას და მოუწოდებს ადგილობრივ ყველა წევრებს ყოვლი ძალ-ღონით ხელი შეუწყონ ყრილობის დადგენილებათა ცხოვრებაში პრაქტიკულათ გატარებას. მოეწყოს ორგანიზაცია თანახმად ცეკას პროპ. ქვათაძის მოხსენებისა.

ტყვიავი. (გორის მაზრა). იმავე დღეს საღამოს მოხდა პარტიის წევრების კრება ადგილობრივი თემის ორგანიზაციებისა, სადაც გააკეთეს მოხსენება კლიმიაშვილმა ყრილობის შესახებ და ქვათაძემ ორგანიზაციულ მუშაობაზე. გამოტანილ იქნა ისეთი რეზოლიუცია, როგორიც მეჯვრისხევში.

მოხეტიალე რაჭველი.

ხიდისთავი. (გურია). 22 აგვისტოს შესდგა ხიდისთავის ს. დ. კოლექტივის ჩვეულებრივი კრება. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება იაჩეიკებიდან, 2) მოხსენება საპროპაგანდო კოლეგიიდან, 3) თემის გამგეობის უმოქმედებისა და დანაშაულობის შესახებ და არსენ ლომთათიძის განცხადების შესახებ.

პირველი კითხვის შესახებ ირკვევა, რომ პარტიული მუშაობა მოდუნებულია, იაჩეიკები ძალიან ხანტათ იკრიბებიან, იაჩეიკებს კარგი ხელმძღვანელები არ ყავთ, მოწინავეები ან გარბიან, ან და სხვა დავალებებში მეტათ გართული არიან და პარტიული მუშაობა მე 2-რე ხარისხოვან საქმეთ აქვთ აღიარებული. კოლექტივმა დაადგინა მიიღოს შესაფერი ზომები, რათა მუშაობა იქნას გაცხოველებული.

მეორე კითხვის შესახებ, საპროპაგანდო კოლეგიის თავმჯდომარის მოხსენებიდან ირკვევა, რომ არც ამ კოლეგიის მუშაობა ყოფილა დამაკმაყოფილებელი, რადგან კოლეგიის ზოგი წევრი სრულიად არ ასრულებს დავალებას, რისთვისაც კოლექტივი გამოსთქვამს საყვედურს იმ ამხანაგებისადმი და მოუწოდებს მომავალში დავალების შესრულებას.

კოლექტივი ითვალისწინებს თემის გამგეობის ყველა იმ უმოქმედობას, რომელმაც ზარალი მიაყენა თემს. ირკვევა, რომ თავმჯდომარე სრულიად შეუფერებელი ყოფილა ამ თანამდებობაზე. თუმცა ისიც ირკვევა, რომ თავმჯდომარე თავიდან რაღაც გაუგებრობით ყოფილა არჩეული საბჭოს მიერ და მას განცხადებაც შეუტანია გადადგომის შესახებ, მაგრამ, საუბედუროთ, ჯეროვანი ყურადღება ვერ მიექცევიათ თავის დროზე. თუმცა კოლექტივში არა ერთხელ იყო კითხვა, მაგრამ ხიდისთავის თემის თავმჯდომარეობას არავინ კისრულობდა. ბოლოს კოლექტივმა გამგეობას წინადადება მისცა, რომ შეეტანა საბჭოში გადადგომის განცხადება.

კრებამ მოისმინა აგრეთვე ა. ლომთათიძის განცხადება, რომელიც გადაყენებულია პარტიიდან, როგორც ბოლშევიკების ხელის შემწყობი, რომ გასამართლებული ყოფილიყო პარტიული სასამართლოთი. კოლექტივმა მიღო ეს განცხადება და თავის მხრით სასამართლოს წევრათ აირჩია ამხ ს. თოდორაძე.

ი. ლ.

მუშათა შორის

ქალაქის ცენტრალურ სავადმყოფო კასის მოწოდება.

ამხანაგებო! ეპიდემიურ ავადმყოფობათაგან გადასარჩენათ დაიცავით შემდეგი წესები:

1) ნუ სვამთ აუდუღარ წყალს
2) ხელები ხშირად იბანეთ, განსაკუთრებით, პურის ჭამის წინ.
3) კვირაში ერთხელ მაინც აბანოში იარეთ.
4) ნუ სჭამთ მკვახე ხილს.
5) ნედლ ხილს და მწვანილს ჭამის წინ ცხელი წყალი გადაავლეთ ან, უმჯობესია, მოხარშეთ იგი.
6) პურ უჭმელი სამუშაოზე ნუ გახვალთ.
7) გაუფრთხილდით გაციებას (ნუ დასწვებით პირდაპირ მიწაზე, განსაკუთრებით მუცელზე).
8) არ დალიოთ გახურებულ გულზე ცივი წყალი.
9) როგორც კი კუჭში რაიმე ტკივილი აღმოაჩინოთ, მაშინვე ექიმს მიმართეთ.
10) ეცადეთ არ იაროთ ბაზარზე და სხვა ისეთ ადგილებში, სადაც ბევრი ხალხი ერთად იყრის თავს. არავითარ შემთხვევაში არ შეხვიდეთ ისეთ ბინაზე, სადაც ეპიდემიური ავადმყოფნი არიან.
11) როგორც კი ოჯახის რომელიმე წევრს გადამდები ავადმყოფობა შეეყაროს, მაშინვე საავადმყოფოში გაგზავნეთ, ბინაზე კი დეზინფექცია მოახდინეთ. მათი სახლში მორჩენა არ შეიძლება.
12) ქალაქის ცენტრალურ სავადმყოფო კასის გამგეობა სთხოვს ყველას აიცრან ხოლერა და შავი ჭირი. აცრა სწარმოებს უფასოდ ქალაქის სავადმყოფოებში—იარუჯაში და კახეთის მოედანზე.

მეტყავეთა კავშირში. კავშირის ბიუროში შემოვიდა შემდეგი რეზოლიუცია, რომელიც გამოტანილ იქნა გ. ბასენცოვის და ზარგარიანცის ქარხნების მუშების მიერ.

ბასენცოვის და ზარგარიანცის მუშებმა, ძველი მეტყავეთა კავშირის წევრებმა, თავის საერთო კრებაზე ა. წ. 26 აგვისტოს, იქონიეს რა მსჯელობა შექმნილ მდგომარეობაზე დაადგინეს: ჩვენ, აღნიშნული ქარხნების მუშები მივესალმებით, რა პროფ. კავშ. საბჭოს სეკრეტარიატს. გამომხატველს თფილისის პროფეს. კავშირების ინტერესებისას, ვიწონებთ მის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, მეტყავე (ძველი) კავშირის შესახებ. ვუცხადებთ ჩვენ ღრმა გულის წყრომას მეტყავეთა კავშირის ძველ გამგეობას, რომელმაც ნაწილი თფილისის პროლეტარიატისა დააყენა მრუდე გზაზედ. მივესალმებით მეტყავეთა ახალ კავშირს და გამოვსთქვამთ სურვილს (ახალ) კავშირში ჩაწერისას. და ჩვენ აღნიშნული მუშები მთელი ჩვენი ძალ-ღონით დავიცავთ კავშირის მიერ გადადგმულ სწორ ნაბიჯებს, მიმართულს მუშათა კლასის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ.

ხელს აწერს 49 კაცი.

ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურენი და ბინის საკითხი. ამ საკითხისთვის ბევრჯელ მიუქცევია ყურადღება, ვისაც ეს ეხებოდა. დღესაც, მიუხედავათ იმისა, რომ ბევრი იწერება მის გარშემო, მაინც ეს საკითხი რჩება მოუწესრიგებელი. უბინობის გამო ფოსტ. ტელ. და ტელეფონის მოსამსახურეებიც განიცდიან იმავე გაჭირვებას, რასაც საერთოთ სხვა დარგის მოსამსახურეები, მაგრამ ამ გაჭირვებაში არის კიდევ ერთი განსხვავება: უმეტესი ნაწილი სახაზინო რკინის გზის, ქარხნების და ფაბრიკების მოსამსახურეები ცხოვრობენ თავიანთ სახელოსნოებთან ახლო და თუ არა, მათ აქვთ საშუალება სამსახურში დროზე გამოსაცხადებლათ მატარებლით, ტრამვაით მიმოსვლა და სხვა საშუალებები და იმავე წესით სამსახურიდან სახლში დაბრუნება. სულ სხვაა ამ მხრით თფილისის ფ. ტ. და ტელეფონის მოსამსახურეების მდგომარეობა.

ზედმეტათ მიმაჩნია იმის აღწერა, თუ რანაირ პირობებში და ბინებში გვიხდება ცხოვრება, ისედაც დაბეჩავებულ მოსამსახურეებს. და სწორეთ მიზეზიც ის არის, რომ უმრავლესობა გახიზნულნი არიან განაპირა ქალაქის უბნებში. თვით ფოსტა-ტელ. და ტელეფონის დაწესებულებები კი მოთავსებულია ქალაქის ცენტრში. წარსულ წელს ბინის საკითხში ფ. ტ. და ტელეფონის სამმართველოს უფროსი ჩაერია, რომ მათი რეკვიზიცია მოეხდინათ „ალექსანდროვის" და „რესპუბლიკის" სასტუმროებისათვის მოსამსახურეების მოსათავსებლად, მაგმაგრამ უნაყოფო გამოდგა. რა საშუალებას უნდა მიმართოს ამ შემთხვევაში ფ.-ტ. და ტელეფონის მოსამსახურეებმა? უკანასკნელმა მომატებამ უფსკრულის პირად წაიყვანა მუშათა კლასი. ტრამვაით მგზავრობა 600 და 1200 მ. უჯდება თვეში და ამასთანავე შეუძლებელი ხდება მასში ჩაჯდომა მრავალი მიზეზების გამო. ამიტომ სასურველია კვლავ აღძრას კითხვა ფ.-ტ. და ტელეფონის სამმართველოს უფროსის მიერ ბინის საკითხის შესახებ, ვისთანაც ჯერ არს, რათა მისი უწყების მოსამსახურეები არ დარჩნენ მომავალ ზამთარშიაც ძველ ბინებში.

ბინები კი აუცილებლათ უნდა გამოიძებნოს ფ. ტ. და ტელეფონის დაწესებულებების ახლო რაიონში. ამ მხრით ბევრათ გაუმჯობესდება მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობა.

ზაქ ჟურული.

პროვინცია

ნოსირის თემი (სენაკის მაზრა). ნოსირის თემის ხმოსანთა შორის დღემდე შემდეგი გაუგებრობას ჰქონდა ადგილი: რკ. გზ ლიანდაგის და საზოგადო დიდ შარა-გზის შუა აქ ძევს საფონდო ადგილი, ზომით ას ქცევამდე. ამ ადგილის მეტ-ნაწილზე დგას თხემლა და რცხილის ხეები, საიდანაც ადგილობრივ კომისიის ვარაუდი ანგარიშით მიიღება არა უმეტესი 30—35 საჟენი შეშისა.

ხმოსნებმა იხელმძღვანელეს რა 1919 წლის 5 დეკემბრის დეკრეტით, უნდოდათ ეს ადგილი თემის სრულ კუთვნილებად დაეტოვებინათ და ადგილ-მამულის გამანაწილებელ კომისიას არ მისცეს ნება, რომ ამ ადგილის შესახებ რაიმე ნაბიჯი გადაედგა.

ამ ვითარების გამო აგვისტოს 26-ს მოწვეულ იქნა სენაკის სამაზრო ერობის გამგეობის აგრარულ რეფორმათა განყოფილების რწმუნებული, რომელმაც განმარტა, რომ 1919 წ. 5 დეკემბრის დეკრეტის ძალით ტყე-ბუჩქნარი და ჩიგვნარი,—მდებარე შუა გულ სოფელში რჩებიან თემის მფლობელობაში, მაგრამ ნოსირის თემის ამ ადგილს მან განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა, როგორც რკინის გზის ლიანდაგის და სახელმწიფო შარა-გზის შუა მდებარეს სამოსახლოდ სავარგისს.

მისი აზრით, ვინაიდან ასეთ დიდ სივრციან ადგილზე, შეიძლება მხოლოდ 30 საჟენი შეშის და არა მეტის მიღება, უნდა მოიჭრას და აიწმინდოს. შემდეგ კი, ვინაიდან ეს ადგილი მეტად მნიშვნელოვანი გზების შუა მდებარეობს, უნდა დაიჭრას ნაკვეთებად და სამოსახლოდ ჯერ უნდა დაკმაყოფილდენ ადგილობრივი ნოსირის მცხოვრებნი, რომლებიც სამოსახლო მიწას საჭიროებენ, შემდეგ კი ამავე წესით სხვებსაც უნდა მიეცეთ და სხ.

ზოგიერთ ხმოსნებში ამან უკმაყოფილება გამოიწვია და უნდოდათ დამტკიცებინათ, რომ ეს ადგილი წარმოადგენს თემის საკუთრებას და სახელმწიფოს იქ ხელი არ აქვს და სხ. (ერთმა ისიც კი მოითხოვა, რომ სასამართლომ გაგვასამართლოსო).

სამაზრო ერობის წარმომადგენელმა მათ ბოლოს დაუმტკიცა, რომ ეს ადგილი ქვირფასი სამოსახლოა. და უსათუოდ ამ საჭიროებისათვის უნდა იქნას მოხმარებული, რის შემდეგ დიდი კამათის და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„ვინაიდან ადგილობრივი ხმოსანთა ყრილობა და თემის გამგეობა დარწმუნებული არიან იმაში, რომ კანონის ძალით ეს ადგილი შედის თემის კუთვნილებაში, და დღეს კი სააგრარიო კომისიას და სამაზრო ერობის აგრარულ რეფ. განყოფილებას სურს წინააღმდეგი, ამიტომ დაევალოს თემის გამგეობას, რომ მიმართოს სამაზრო ერობას ოფიციალურად და საბოლოოდ გამოარკვეს ამ ტყის მდგომარეობა—თუ ვის ეკუთვნის იგი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხმოსანთა უმრავლესობას ამ შემთხვევაში ალაპარაკებს პირადი სარგებლობა, ისინი დაინტერესებულნი არიან ამ ადგილზე შეშის მხრივ, თორემ ვის უნდა ჰქონდეს იმის წინააღმდეგი, რომ იქ, სადაც სამოსახლო მიწის ძალზე ნაკლებობაა და მცხოვრებთა მეტი ნაწილი ტალახში ჩამხჩვალნი არიან, მიეცით საშუალება ასეთი კარგი სამოსახლო ადგილების მიჩენით, როგორც ზემო ჩვენ მიერ დასახელებული ადგილია, გაიუმჯობესონ მდგომარეობა. ხმოსნები თვით უნდა უწყობდენ ხელს სათანადო ორგანოებს ამ მიზანის სისრულეში მოყვანას, მაგრამ ჩვენ წინააღმდეგს ვხედავთ, რაც სამწუხარო მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

აშედი.

ქობულეთი. სამწუხაროდ უნდა აღვნიშნო, რომ ჯარში ფართო ადგილი აქვს ლაშქარის ღირსების დამამცირებელ მოვლენებს მე ემსახურებ მე-9-რე გუნდში, მე-5-თე რაზმისა, მაგრამ ერთი თვის განმავლობაში ჩემთვის შეუმჩნეველი იყო ყველა ის არა საკადრისი საქციელი, რაც აშკარა შეიქნა მე-3-მე ათასეულის მოსვლის შემდეგ, რომელმაც ჩვენ გამოგვცვალა, ქობულეთის რაიონში რკინის გზის ლიანდაგზე არსებულ სადარაჯოებიდან. ჯარის კაცების უმრავლესობას ღირსეულად ვერ უჭირავს თავი და არ არის დაცული პატივსცემა მშვიდობიან მცხოვრებლებისადმი. იყო შემთხვევა, როდესაც ქართველი მაჰმადიანის ქალი გაიელიდა სახეზე ჩადრ ჩამოფარებული, — ჯარის-კაცები, რათქმა უნდა, ზოგიერთები ასეთი ქუჩური სიტყვებით მიმართავდნენ ხოლმე: როდის იქნება, რომ ერთი ჩამოგაგლიჯოთ სახიდან მაგი ჩადრი და სხ. ეს ხდება იმ დროს, როდესაც ურიცხვი პროვაკატორები, და საქართველოს რესპუბლიკის დაუძინებელი მტრები დათარეშობენ აჭარა-ქობულეთის მიდამოებში და ათას ნაირ ჭორებს თხზავენ ჩვენი მთავრობის საწინააღმდეგოთ და ცდილობენ, რომ ორი მოძმე ერთიმეორეს გადაკიდონ და გააჩინონ ურთიერთშორის შური და სიძულვილი. მე გადმომცეს, რომ ეს ვაჟბატონები ავრცელებენ ქართველ მაჰმადიანებში ხმებს, რომ საქართველოს მთავრობამ უკვე ხელში ჩაიგდოთ,—ბათომის ოლქში ჯარს იმიტომ გზავნის, რომ აგწიოკოს თქვენ მაჰმადიანებს ოჯახები, შეგიბღალოს თქვენი ნება-სურვილი, რჯული უნდა გამოგიცვალონ და სხვა და სხვა. რათქმა უნდა, ამით ფიქრობენ ესენი ხალხის თვალში დასცენ მთავრობის პრესტიჟი, მაგრამ სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ ქართველი მაჰმადიანების უმრავლესობას ღრმათ აქვთ შეგნებული საქართველოს კეთილი განძრახვანი ქართველ მაჰმადიანებისადმი. რომ მთავრობა არავის არ ართმევს, არც რჯულს, არც ქონებას, პირიქით, ყოველ საშვალებას ხმარობს, რომ უღირსი შვილებისაგან გათიშული სისხლი და ხორცი, ისევ შეაერთოს და განამტკიცოს თავისუფლების ნიადაგზე ძმური კავშირი განწყობილება მაჰმადიანებისადმი. რესპუბლიკას არ აქვს მიზანი, რომ ვინმეს რჯული გამოუცვალოს, პირ იქით,—რჯულს, სარწმუნოებას აღიარებს კერძო პირის საქმეთ, მის სურვილით. მაშასადამე, მთელი ჩვენი მუშაობა იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ გამოვნახოთ საშვალება და დავაწყნაროთ ეს ნერვებ აშლილი ცხოვრება, და ხელი ხელ ჩაკიდებული ქართველ მაჰმადიანებთან ერთად მომავალში განვაგრძოთ ჩვენი სასიქადულო გზა...

ჯარისკაცი.

ცნობები

აუცილებლათ საჭიროა მიხაკო გურგენიძის და ალექსანდრე კუხიანიძის ადრესი, რომელნიც პოლიტიკურ ამნისტიის შემდეგ რევოლიუციის დაწყებიდან, ციმბირიდან ჩემთან ერთად სამშობლოში დაბრუნდნენ. პირველი სუფსიდან არის, ხოლო მეორე ქუთაისიდან. უმორჩილესად ვთხოვ მათ, ვინც იცის მათი ადრესი, ფას დადებით გამაგებიოს შემდეგი მისამართით: თფილისი, პროფესიონალურ კავშირების საბჭო. განახლებულ ლითონზე მომუშავეთა კავშირში ბესარიონ ნაცვალაძეს.

რედაქტორი ლევან ნათაძე.

განცხადებანი

დავკარგა

ატესტატი № 202, მიღებული 1916 წ. 26 მაისს კულაშის უმაღლეს პირველ დაწყ. სასწავლებლიდან ბართლომე კუკალიას სახელზე რაც ითვლება გაუქმებულად. (796 1—1)

დავკარგე

მე ამბროსი დიმიტრის ძე გიგინეიშვილმა სამხედრო სამსახურის ნუსხა. მოცემული ქუთაისის მაზრის სამხედრო უფროსისაგან, რაც ითვლება გაუქმებულად. (795 1—1)

კბილის ექიმი

თ. ს. ცხომელიძე

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. კალოუბნის ქუჩა № 8, ტელეფონი 13—35 (2813 3—2)

ექიმი

ბ. გ. რამენდიკი

დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების მიღება. მკურნავი შინაგან ბავშვების და სპეციალურად კუჭისა და ნაწლევების სნეულებათა. ავათმყოფების მიღება დილის 11—12 საათ. და საღამოს 5—7 საათ. მიხეილის პრ. № 121 ტელეფონი 5—42. (თ. 2841)

ექიმის

ი. ა. ტერ-ოვაკუმოვი

გადავიდა კიროჩნი ქუჩიდან მიხეილის პრ. № 22 ვარანცოვის ძეგლის ახლოს და განაახლა ავათმყოფების მიღება. სპეციალურად ხიფილისი, ვენერიული ავათმყ. (გაძნელებული და ქრონიკული ტრიპერი) და კანის ავათმყ. („606" და 914 შეშხაპუნებით) ავათმყ. მიღება დილის 12—2 საათ. და საღამოს 6—8 ს. ქალების საღამოს 5—6 საათ. (თ. 2577)

ექიმი

გ. ი. ოქროპირიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. ბარიატინსკის ქ. № 22, სოლოლაკი)

კერძო სამკურნალო

სპეციალურად ვენერიულ, საშარდე ორგანოების, სიფილისით და კანის სნეულებით ავადმყოფთათვის

ექიმ

ე. მ. მქინარიშვილისა

შეშხაპუნება „606" და „914". ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9—3 ს. ფასი 50 მან. უსახსროთათვის უფასოდ 9—11 ს. მისამართი—კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტისა და კირქის (კიროჩნი) ქუჩ. № 22. ტელეფ. 10—87. (2824—თ.

ექიმი დ. ა. სარალიძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდის ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, ტელეფონი 3—19. ავჭალის აუდიტორიის ახლო (2363—თ.)

ექიმი

კ. გ. ვართანოვი

სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606" და „914" შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (2264—თ.)

სამკურნალო

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის

მიხეილ გედევანიშვილისა

დღისით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ვერაზე. (2458—თ.)

ექიმი მ. ა. შაფრანი

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914", ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: [illegible] ქ. № 23. (1288 25—4)

ოზურგეთში

ექიმი

ს. ვ. აბაშიძე

ღებულობს ავადმყოფებს შინაგან სენით (გულის, ფილტვების და კუჭ-ნაწლევის) სიფილის შეხაპუნება „914 და 606". კ. სიამაშვილის სახლში. (თ. 2634.)

ექიმი

ნ. ა. არუთინოვი

სპეციალურათ სიფილისი (606 და 914, ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). ნოვო-ბებუთოვის ქ. № 5. სასახლის უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით. (პარალელურად). მიღება დილით 9—12 ს. საღ. [illegible] 6 ნახ. საათამდე. (2722—თ.)

ექიმი

ე. ი. ქალანდაძე

ღებულობს. შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე ვენერიული, სიფილისით (წამ. „606" და „914"), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. (2446—თ.

ექიმი

ნ. ლ. ტურიაშვილი

იღებს საბებიო, ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევისა, შუადღის 1—2 და საღ. 4—5 ს. ჩერქეზოვის ქუჩაზე № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (თ. 2539)

ექიმმა

ნიკოლოზ მახვილაძემ

განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე დილის 8—9-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. (თ. 2528)

თფილისის სამაზრო ერობაში

თავისუფალია

გადასახადების გამგის ადგილი

სასურველია სათანადო სტაჟით, თხოვნები. თხოვნები, რომელშიაც აწერილი უნდა იყოს წარსული სამსახური—მიიღება 5 ენკენისთვემდე. ცნობები საბიუჯეტო განყოფილებაში. (2855 1—1)

სახალხო განათლების სამინისტროს უწყებაში მყოფი

საბუღალტერო კურსები

თ. მ. ფილოიანისა

ორთავე სქესის თვის. (თფილისი, მიხეილის პრ. № 24. ტელ. № 976), თხოვნების მიღება დილ. 10—12 საათამდე, საღ. 5—7 საათ. იხსნება ქართული განყოფილება. (2838—10—2)

სამხედრო სამინისტროს სამნეო განყოფილება

ამით აცხადებს, რომ 1920 წ. 15 სექტემბერს დილის 12 საათზე მოხსენებულ განყოფილებაში სიტყვიერი და წერილობითი განცხადებით

საჯარო ვაჭრობით

იჯარით გაიცემა ერთის წლის ვადით ქ. თფილისში დაბინავებულ ჯარის ნაწირის ნაწილებში ხორცის და ცხიმის ჩაბარება.

დაწვრილებითი ცნობები მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ ყოველ დღე სამნეო განყოფილების სასურსათო სექციაში, ბარიათინსკის ქუჩა № 10 დილის 9 საათიდან შუადღის სამ საათამდის. (ნ. 3—3)

საკუთარი სტამბა ერთობის ქუჩა №4.